ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მარიამ მელიქიძე

ევროინტეგრაცია და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის პერსპექტივები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ შენგელია**

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია 3

Annotation..... 5

შესავალი 7

1. ევროინტეგრაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მიზეზები და ევოლუციური განვითარების დინამიკა 10

1.1. საქართველო და ევროინტეგრაციული პროცესები, სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით 17

1.2. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები და ანალიზი 20

2. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის კვლევა ევროკავშირის ბაზარზე 28

2.1. სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა ქართული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობის ზრდაში 38

2.2. ევროკავშირის მიერ საქართველოში დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ანალიზი 39

3.საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები, უმსხვილესი საექსპორტო პოზიციები 2014-2019 წლებში 46

3.1 ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის სტატისტიკური ანალიზი 54

3.2 სავაჭრო ბარიერები და ევროკავშირის ბაზარზე პოზიციონირების პერსპექტივები..... 58

3.3 საქართველოში წარმოებული საექსპორტო პროდუქტები მინერალური და მტკნარი წყლების მაგალითზე 64

3.4. საექსპორტო პოტენციალის კვლევის საფუძველზე საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობები..... 72

დასკვნა 77

გამოყენებული ლიტერატურა:..... 81

ანოტაცია

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ეფუძნება ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის ივლისში და მიზნად ისახავს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ძირითად საფეხურებს, ასევე, მნიშვნელოვან მიღწევებსა და არსებულ გამოწვევებს.

ნაშრომში კვლევის ძირითადი მიზანია საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაანალიზების შესაბამისად თანამშრომლობის ძირითადი პერსპექტივების და ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობების შეფასება. ევროკავშირი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს პარტნიორს წარმოადგენს, არა მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამიტომ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რამდენად სასარგებლოა ეს თანამშრომლობა საქართველოსთვის ევროპულ ცივილიზაციაში გაერთიანებისათვის.

დღევანდელ რეალობაში მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გლობალიზაციის სწრაფი ტემპებით ხასიათდება. ეს ვლინდება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. განსაკუთრებული მნიშვნელობის საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური კონტაქტების სრულყოფა იწყება საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების ფონზე, რაც, ძირითადად, მიღწეულია საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტურობის შედეგად. ამ პროცესების განვითარება ეკონომიკის გაუმჯობესების მძლავრი ბერკეტია. საერთაშორისო სავაჭრო და საგარეო ეკონომიკის თეორიების ეფექტურობის შეფასება მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის პოტენციალის ღრმა და ფუნდამენტური ანალიზისას არსებული შესაძლებლობის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თეორიები სხვადასხვაა და მათი პრობლემური საკითხების ფართო სპექტრს ასახავს, რომელთა სრულმასშტაბიანი გამოკვლევა ძალიან რთულია. მოცემულ ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა საკითხები, როგორიცაა: უცხოური ეკონომიკური ოპერაციების ეფექტიანი შეფასება, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საექსპორტო პოტენციალის განსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში.

"საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის ტენდენციები" ეხება საქართველოს ძირითადი საექსპორტო პროდუქციის მოცულობის გაზრდის შესაძლებლობებს, აგრეთვე, საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკის შესწავლას.

საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობით მიღწეული შედეგები, რის შემდეგაც გამოვავლენთ ძირითად ტენდენციებს, შევაფასებთ თანამშრომლობის შედეგებს და დავსახავთ სამომავლო გეგმებს.

საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობებისთვის პრიორიტეტულია ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება სამომავლოდ. ამის არაერთი მიზეზი არსებობს, რომელსაც მოცემულ თემაში განვიხილავთ.

Annotation

European integration and prospects of export potential of Georgia

Mariam Melikidze

The European Union and Georgia enjoy an excellent relationship. Relations are based on the EU Georgia Association Agreement including a Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), which entered into force in July 2016 and strives for political association and economic integration.

This master thesis discusses the main stages of the development of EU-Georgia relations as well as important achievements and existing challenges.

Obtaining the promise of a European perspective remains Georgia's main goal in the short and medium Term. The main goal of the research is to evaluate the possibilities of development of key perspectives and relations in cooperation with the analysis of Georgia-EU trade-economic relations. The EU is an important partner for Georgia not only for trade-economic but also from political point of view. Therefore, it is important to know how useful this cooperation is for Georgia in the development of European civilization.

At the present stage when the development of the world economy is characterized by quick rates of globalization the International-economical relations experience the continuous changes. In conditions of market economy of special importance acquires the perfection of economical contacts against the background of international integration processes which, mainly is achieved as a result of efficiency of international trade. For development of these processes a powerful lever of improvement of economy is the assessment of efficiency of the theories of international trade and foreign economy operations, deep and fundamental analysis of export production potential on the basis of marketing research and possibility.

As well it is very actual to share the western experience in the export sphere of international trade. It is a very important task as well a mathematical modeling of separate export priorities with the aim of their optimization and prognostication.

It should be noted that the theories of development of the international trade are various and they cover a wide spectrum of problematic issues a full- scale investigation of which is too complex. This is the very reason that the work studies only those issues such are: the efficient assessment of foreign economical operations, the modern tendencies of development of international trade, determination of export potential in conditions of globalization.

"The ways of rising of the export potential of Georgia" deals with the possibilities of increase of the volume of main export production of Georgia, the contemporary foreign trade policy of Georgia has been studied on the basis of which the perspectives of penetration and establishment of the national production on the foreign market have been revealed.

It is important for us to evaluate Georgia-EU trade and economic relations. We are aware of the results achieved by cooperation between Georgia and the EU, after we will show the main trends, evaluate the results of cooperation and set future plans.

There are a number of reasons that we will discuss in this topic. It is important to note that the process of Geogria's integration has already begun in the global ecosystem, including the deeping of partnership and cooperation with the EU.

შესავალი

თანამედროვე გლობალურ სამყაროში ქვეყნები სულ უფრო ხდებიან ურთიერთდამოკიდებული, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება სამართლებრივად ორგანიზებული რომ იყოს იქმნება შესაბამისი ორგანიზაციები და ამ კონტექსტში ევროკავშირი ერთ-ერთ ყველაზე რელევანტურ მაგალითს წარმოადგენს. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება. ცხადია, ამის მიზეზები მრავლად მოიპოვება. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს ინტეგრაციის პროცესი გლობალურ-ეკონომიკურ სისტემაში დაწყებულია და ეს ინტეგრაცია მოიცავს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები დღეისათვის მეტად აქტუალური საკითხია. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა სახის უპირატესობები და გამოწვევები გველოდება მომავალში ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში.

ნაშრომში თავდაპირველად განხილულია ევროინტეგრაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მიზეზები და ევოლუციური განვითარების დინამიკა. აგრეთვე, ევროინტეგრაციული პროცესები საქართველოში, სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის კვლევა ევროკავშირის ბაზარზე და რიგი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ქართული პროდუქციის ექსპორტთან ევროკავშირის ბაზარზე.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ამოცანაა გადმოვცე ის მოკლე ისტორია, რაც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს უკავშირდება. ასევე, გავაკეთო მიმდინარე პროცესების ანალიზი და საბოლოოდ, შევაფასო მომავალი ურთიერთობების პერსპექტივები. აუცილებელია, რომ ქვეყნის მოსახლეობა ინფორმირებული იყოს იმაზე თუ რას მოგვიტანს ევროკავშირში გაწევრიანება. ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები დადებითად არიან განწყობილნი გაერთიანებისადმი,

თუმცა საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ. აქედან გამომდინარე, მოცემული თემის ანალიზი საჭიროა არა მხოლოდ მეცნიერულ, არამედ ზოგად-საგანმანათლებლო დონეზეც.

XXI_ე საუკუნეში, საქართველო უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს, ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობითა და ამჟამინდელი მდგომარეობით, აუცილებელია გარკვეული საგარეო პოლიტიკური მიმართულების ჩამოყალიბება. სამწუხაროდ, ჩვენ არც იმის ფუფუნება გვაქვს, რომ ნეიტრალურ ქვეყნად გადავიქცეთ და არც იმისი, რომ აბსოლიტურად დამოუკიდებლად ვაწარმოოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკა. 2008 წლის აგვისტოს ომმა კიდევ უფრო ცხადჰყო, რომ საქართველოს ნამდვილად სჭირდება საერთაშორისო საზოგადოების თანადგომა და გარკვეული უსაფრთხოების გარანტიები. სწორედ ამითაა განპირობებული ჩვენი ქვეყნის გააქტიურებული მისწრაფება ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ.

ცხადია, ერთია გქონდეს სურვილი, რომ გახდე ევროკავშირის წევრი ქვეყანა, მეორეა რამდენად მზად ხარ ამისთვის ან ცდილობ, რომ დააკმაყოფილო ორგანიზაციის მოთხოვნები და მესამეა ის პოლიტიკური ნება, რომელიც ევროპულმა ქვეყნებმა უნდა გამოიჩინონ.

საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანება არ არის ჩვენი თაობის ახირება. ეს არის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გამყარების გზა, რაც თითოეული მოქალაქის თვითმიზანი და ვალდებულება უნდა იყოს. ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები უკვე გავდივართ გრძელვადიანი პროცესია და ვადების დათქმა, თუ როდის გავხდებით ამა თუ იმ ალიანსის წევრი, მხოლოდ ვარაუდებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოს საგარეო ეკონომიკური ერთიერთობების ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემების შესწავლა და ანალიზი მაგალითად, „საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები“.

საქართველოს ეროვნული და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები ქვეყანას ევროპული ინტეგრაციისაკენ უბიძგებს. საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული თვალსაზრისით საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ექსპორტის გაზრდისა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

კვლევა შეიცავს ექსპორტის დინამიკის მიმოხილვას ზოგადი დივერსიფიკაციის თვალსაზრისით. ასევე ცალ-ცალკეა გაანალიზებული ევროკავშირისა და საქართველოს საექსპორტო ბაზრებზე ნაჩვენები დინამიკა. ანალიზისთვის სიღრმის მისაცემად ცალ-ცალკეა გადმოცემული 2014, 15, 16, 17, 18 წლები, ხოლო 2019 წლისათვის მიმდინარე პერიოდის შედეგები მიმოხილულია ზოგადად, ვინაიდან მონაცემები არასრულია და მიმდინარე წლის განმავლობაში დაფიქსირებულ ტენდენციებზე დასაბუთებული საუბარი ამის გამო მეტად რთულია.

1. ევროინტეგრაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მიზეზები და ევოლუციური განვითარების დინამიკა

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ევროკავშირში ინტეგრაციაა. ევროკავშირი XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ინტეგრაციული რეგიონია თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალით.

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო, რაც გააღრმავებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს რეფორმების განხორციელება ევროკავშირის სტანდარტებსა და პრაქტიკასთან დაახლოებისთვის.

რა არის ის ფაქტორი, რაც ასე ართულებს საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებას? პირველია შეცვლილი გეოპოლიტიკური გარემოებები, არაპროგნოზირებადი მოთამაშეები, გაცილებით აგრესიული და ასევე არაპროგნოზირებადი მოთამაშე-რუსეთის ფედერციის სახით, ისლამური სახელმწიფოს სწრაფვა ხალიფატის შექმნისაკენ, არაპროგნოზირებადი მიგრაცია, სკეპტიციზმის ზრდა და ასე შემდეგ.

- **ევროპული ინტეგრაციის განვითარების ეტაპები**

ევროკავშირი მუდმივად ავითარებდა და დღესაც ავითარებს სტრუქტურას, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია. ევროკავშირის ფუძემდებლურ კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი სხვადასხვა ხელშეკრულება, რომელიც საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას და აფუძნებს მის ინსტიტუციურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებსა და ძირითად უფლებამოსილებებს.

1968 წელს ამოქმედდა ევროგაერთიანების საბაჟო კავშირი, რომელსაც რომის ხელშეკრულებით ჩაეყარა საფუძველი და ამის თანახმად გაუქმდა სავაჭრო ტარიფები

წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში.

- **რომის ხელშეკრულებიდან ერთიან ევროპულ აქტამდე**

„ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ შემავალ 6 ქვეყანას შორის ურთიერთობების სტაბილურმა და პროგრესირებადმა ხასიათმა განაპირობა „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ შექმნა. მას 1957 წელს რომის ხელშეკრულება დაედო საფუძვლად, რომლის ძირითადი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც შემდეგ საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი გულისხმობდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა წარმოადგენდა. მაასტრახტის ხელშეკრულებით 1992 წელს მას ეწოდა „ევროკავშირი“ ეწოდა. 1968 წელს ამოქმედდა საბაჟო კავშირი, რომლის თანახმადაც, გაუქმდა სავაჭრო ტარიფები წევრ სახელმწიფოებს შორის და დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არაწევრ ქვეყნებთან მიმართებით.[1]

- **შენგენის შეთანხმება**

1985 წლის 14 ივნისს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებით ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდნენ, თანდათანობით გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება ხელმომწერი წევრი სახელმწიფოების, სხვა წევრი სახელმწიფოების ან მესამე სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის. დღეისათვის შენგენის ხელშეკრულება 26 ქვეყანას აერთიანებს:

- ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას: ავსტრიას, ბელგიას, ჩეხეთის რესპუბლიკას, დანიას, ესტონეთს, ფინეთს, საფრანგეთს, გერმანიას, საბერძნეთს, უნგრეთს, იტალიას,

[1] საქართველო და ევროკავშირი, ევროკავშირის განვითარების ეტაპები, infocenter.gov.ge, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

ლატვიას, ლიტვას, ლუქსემბრუგრს, მალტას, ნიდერლანდების სამეფოს, პოლონეთს, პორტუგალიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ესპანეთსა და შვედეთს;

• ევროკავშირის 4 არაწევრ ევროპულ ქვეყანას: შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და ლიხტენშტეინს. აღნიშნული ქვეყნები ერთად ქმნიან შენგენის ზონას. შენგენის ზონის 4 კანდიდატი ქვეყანაა: ბულგარეთი, კვიპროსი, ხორვატია და რუმინეთი.

• ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან დიდი ბრიტანეთი და ირლანდია არ არიან შენგენის ზონის წევრები.

„საპასპორტო საბაჟო კონტროლის გაუქმების შესახებ ევროპის კავშირის ქვეყნებს შორის" შეთანხმებას ხელი მოეწერა შენგენში, ლუქსემბურგის პატარა სოფელში, სადაც ლუქსემბურგის, გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარი იკვეთება.[2]

- **ერთიანი ევროპული აქტი**

1986 წლის 28 თებერვალს ევროპული გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილი ე.წ. ერთიანი ევროპული აქტით ცვლილებები და დამატებები შევიდა ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში. ერთიანი ევროპული აქტი გახდა პირველი ყოვლისმომცველი სარევიზიო აქტი, რომლითაც ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზება განხორციელდა, კერძოდ: შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო, ევროპული საბჭო ჩამოყალიბდა ერთ-ერთ ინსტიტუტად, საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად ევროპული პარლამენტი ეწოდა. შემოიღეს ახალი თანაგადაწყვეტილე„ბის პროცედურა, რომლითაც პარლამენტის როლი გაძლიერდა, გაიზარდა კომისიის უფლებამოსილება, ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გავრცელდა ბევრ ისეთ სფეროზე, სადაც მანამდე გადაწყვეტილება მხოლოდ ერთხმად მიიღებოდა.[3]

[2] ევროკავშირის განვითარების ეტაპები, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

[3] საქართველო და ევროკავშირი, ევროკავშირის განვითარების ეტაპები, infocenter.gov.ge, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

- **მაასტრიხტის ხელშეკრულება**

1992 წლის 7 თებერვალს ნიდერლანდების სამეფოს ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილია მაასტრიხტის ხელშეკრულების სახელით. ამ ხელშეკრულებით ევროგაერთიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა. ამ ხელსეკრულებით შესწორდა და ერთ პოლიტიკურ დოკუმენტში გაერთიანდა ყველა მანამდე არსებული-პარიზის (1950 წ.) და რომის (1957 წ.) ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი (1986წ.). ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი სამ ძირითად სვეტს უნდა ეფუძნებოდეს: პირველ სვეტში გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები. მეორე სვეტში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე სვეტში-თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში. მაასტრიხტის ხელშეკრულებით: გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, კომისიის მთლიანი შემადგენლობის დამტკიცებისთვის აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა, ევროპარლამენტთან შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა უფლება შეემოწმებინა ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტები.[4]

- **ამსტერდამის ხელშეკრულება**

ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამში 1997 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, რომელზეც ვერ შეთანხმდნენ მაასტრიხტში. ძირითადი თემები, რომელთა გარშემოც დებატები გაიმართა ამსტერდამის ხელშეკრულების მიღების პროცესში, ეხებოდა ევროკავშირის მმართველი სისტების „მოქნილობის გაზრდას და „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და იუსტიციის“ არეალის შექმნას.[5]

- **ნიცის შეთანხმება**

2000 წლის დეკემბერში საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მთავრობათაშორისო კონფერენციამ ხელშეკრულება შეიმუშავა. მას ხელი 2001 წელს მოეწერა, ხოლო ძალაში

[4] ევროკავშირის განვითარების ეტაპები, infocenter.gov.ge, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

[5] ევროკავშირის გაერთიანების ეტაპები, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

2003 წლის თებერვალში შევიდა. ნიცის ხელშეკრულებით განისაზღვრა ახალი დებულებები ორგანოების შემადგენლობასა და საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებისას თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის მინიჭებული ხმათა რაოდენობის შესახებ, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დემოგრაფიულ ელემენტებზე. [6]

- **ლისაბონის შეთანხმება**

2007 წლის 13 დეკემბერს ლისაბონში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს. შეთანხმების მიხედვით შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები.[7]

- **ევროს შემოღება**

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის განხორციელება 1999 წლის 1 იანვრისთვის მოხერხდა, რაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით იყო დადგენილი. ევროზონაში გასაერთიანებლად, ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან დააკმაყოფილონ გარკვეული კრიტერიუმები, მათ შორის: ევროზონაში გაერთიანებამდე ქვეყანა 2 წელი უნდა იყოს ჩართული ევროპულ გაცვლითი კურსის მექანიზმში (European Exchange Rate Mechanism (ERM).

დღეისათვის, ევროკავშირის წევრი 28 სახელმწიფოდან, ევროზონაში მხოლოდ 19 ქვეყანაა გაერთიანებული. დანარჩენ ქვეყნებში დღემდე ეროვნული ფულადი ერთეულია მიმოქცევაში. ევროზონაში გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნები: ავსტრია; ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი.

[6] საქართველო და ევროკავშირი, საინფორმაციო ცენტრი, ევროკავშირის განვითარების ეტაპები,http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

[7] ევროკავშირის განვითარების ეტაპები, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1

- **ევროკავშირის მიზნები და ღირებულებები**

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვრულია ის **ღირებულებები,** რომლებზეც არის დაფუძნებული ორგანიზაცია. ევროკავშირის ღირებულებებია: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა, უმცირესობათა უფლებების დაცვა, პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა. ასევე, ხელშეკრულებაში აღნიშნულია წევრი სახელმწიფოების ეროვნული იდენტობის პატივისცემის აუცილებლობა.

ევროკავშირის **მიზნები** დეკლარირებულია ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებაში.

1993 წელს, ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება, შეუერთდნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

პოლიტიკური: აქვს სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე აგებენ პასუხს.

ეკონომიკური: აქვს მოქმედი ეკონომიკური ბაზარი და ძალუძს თავი გაართვას კონკრეტულ წნეხსა და საბაზრო ფასებს ევროკავშირის ფარგლებში.

სამართლებრივი: იღებს ევროკავშირში დაწესებულ კანონებსა და პრაქტიკას, კონკრეტულად კი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ძირითად მიზნებს.

- **გაფართოებების ეპოქა**

ცივი ომის დასრულების შემდეგ, სამი კატეგორიის ქვეყანა შეეცადა ევროკავშირში გაწევრებას: ნეიტრალური სახელმწიფოები, რომლებიც აღარ იყვნენ შეზღუდულები ცივი ომით (ავსტრია, ფინეთი, მალტა და შვედეთი); არანეიტრალური და ზოგიერთ შემთხვევაში, ნატო-ს წევრი ქვეყნებიც, რომლებმაც შეიტანეს ან გააააქტიურეს თავიანთი აპლიკაციები რადიკალურად ცვალებადი საერთაშორისო მდგომარეობის პარალელურად (კვიპროსი, ნორვეგია და თურქეთი); ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები (ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი და სლოვენია).

1993 წლის ივნისში, ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენში განაცხადა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მათი სურვილის შემთხვევაში, გახდებოდნენ ევროკავშირის წევრები. ამასთან, მომავალი წევრი ქვეყნებისთვის ევროპულმა საბჭომ დაამტკიცა კომისიის მიერ შემუშავებული გაწევრების კრიტერიუმები, რომელსაც „კოპენჰაგენის კრიტერიუმები“ ეწოდა.

- **ევროკავშირის ინსტიტუტები**

ევროპის პარლამენტი- 751 წევრი ახორციელებს კონტროლს, გადის კონსულტაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით.

ევროკავშირის საბჭო-შედგება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის დარგობრივი მინისტრებისგან იღებს გადაწყვეტილებებს სამართლებრივ აქტებთან მიმართებაში.

ევროპული საბჭო-შედგება ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის მეთაურისა და ევროკომისიის პრეზიდენტისგან – განსაზღვრავენ ევროკავშირის პოლიტიკას.

ევროსაბჭოს პრეზიდენტი–ევალება საბჭოს სამუშაოს მომზადება, შეხვედრების წარმართვა და კონსენსუსის მიღწევა.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო-ახორციელებს ევროკავშირის კანონების ინტერპრეტირებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ესა თუ ის კანონი ერთნაირად იქნას გამოყენებული ყველა წევრ ქვეყანაში.

აუდიტორთა სასამართლო- ევროპის აუდიტორთა სასამართლო ამოწმებს ევროკავშირის ფინანსებს. მისი მთავარი მიზანია, გააუმჯობესოს ევროკავშირის ფინანსური მართვა და მოამზადოს ანგარიში სახელმწიფო ფონდებიდან თანხების ხარჯვის პროცესზე.

ევროპის ცენტრალური ბანკი-თანამშრომლობს ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნის ცენტრალურ ბანკთან. ისინი ქმნიან ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას.

1.1. საქართველო და ევროინტეგრაციული პროცესები, სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით

საქართველომ მიზნად დაისახა ევროკავშირში გაწევრიანება. ეს არის ჩვენი ქვეყნის ისტორიულ-კულტურული განვითარების გზით და სახელმწიფო ინტერესებით განპირობებული არჩევანი. საქართველო ირჩევს ევროპას იმისთვის, რომ დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო ასპარეზზე, პატივი სცენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ააშენოს დემოკრატიული მმართველობა, დაიცვას ადამიანთა უფლებები, განავითაროს ეკონომიკური ზრდის პროცესი და დაამკვიდროს საერთაშორისო სტანდარტები.

წლების განმავლობაში გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა შედეგად მოგვიტანა საქართველოს დაახლოება ევროპულ ღირებულებებთან. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებაში.

"საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს კომპონენტს, რომელსაც ეწოდება DCFTA- Deep and Comprehensive Free Trade Area და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. ამ შეთანხმების მე-4 თავი, რომელიც მოიცავს ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

მსოფლიოს 500 ყველაზე მომგებიანი და მსხვილი კომპანიიდან 161 სათაო ოფისი ევროპის კავშირში მდებარეობს. კავშირში შექმნილია ერთიანი ბაზარი და უზრუნველყოფილია ადამიანების, კაპიტალის, მომსახურების და საქონლის თავისუფალი გადაადგილება. ქვეყნებს შორის გადაადგილება უვიზოა. მათ შორის არაწევრი ქვეყნებისთვისაც (ნორვეგია,შვეიცარია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, მოლდოვა).

თუკი საქართველო დააკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოების შესაბამის სტანდარტებთან, მაშინ მას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მლნ-ზე მეტ მომხმარებელს.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს

საქართველოს ეკონომიკის ზრდას. იგი არ აწესებს რაიმე შეზღუდვებს, პირიქით, ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა თურქეთი, ხელს შეუწყობს ვაჭრობის გაფართოებას, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად აწარმოონ იმპორტ-ექსპორტი. გარდა ამისა, შეთანხმება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას. ამ შემთხვევაში ქართველი მომხმარებლები უსაფრთხო, უვნებელ და ნაკლებად გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს მიიღებენ.

ნათელია, რომ ბოლო წლებში ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მსგავსი პროცესები მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ექსპორტს. უნდა ითქვას, რომ ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მოუწევს უამრავი პრობლემის მოგვარება და არსებული ბარიერების დაძლევა. ამ მიმართულებით საქართველომ უნდა განახორციელოს რიგი სამუშაოები ევროკავშირის ტექნიკური რეგლამენტების სტანდარტიზაციის დაახლოების მიზნით.

ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედია. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საერთო ევროპული ფასეულობების მტკიცე მხარდაჭრა, რაც შემდგომში ჩვენი ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების საფუძველი გახდება.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და სხვა.

იმისათვის რომ ევროპულ საბაზრო სივრცეში ცხოვრების შესაძლებლობა გვქონდეს, საქართველოს მთავრობამ უნდა აამოქმედოს ეკონომიკის მარეგულირებელი მექანიზმები, კრიზისულ შემთხვევებში კი ხელი შეუწყოს ბაზარზე მოთხოვნის სტიმულირებას. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კერძო სექტორის სუსტი და არაეფექტიანი მხარეების

წახალისებაში. საჭიროა საერთშორისო ვაჭრობაში ორმხრივი გახსნილობის უზრუნველყოფა და თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის არეალის გაფართოება.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდის პერსპექტიული მოდელი უნდა აერთიანებდეს: თავისუფალ კონკურენციას, ეფექტიან მმართველობას, ვაჭრობისადმი გახსნილობას, სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ხელშეწყობის ზრდას, კერძო სექტორის წახალისებას, თანაბარ შესაძლებლობებს მოქმედ ბიზნესში და სხვ.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, ახალ შესაძლებლობებს და პერსპექტივას იძლევა.

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო მნიშვნელოვნად აისახება ქვეყნის მწარმოებლურობაზე. ის პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. როგორც ცნობილია, მძაფრი გლობალური კონკურენციის დინამიკური ეკონომიკური პროცესების გამო, სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

1.2. საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბები და ანალიზი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები გასული საუკუნიდან იღებს სათავეს. იმ პერიოდისათვის საქართველო ღრმა კრიზისში იყო. ევროკავშირის დახმარების პროგრამებმა და სხვადასხვა პროექტმა უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში, ასევე, ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობაში.

როგორც ცნობილია, 1999 წლიდან 2004 წლამდე ევროკავშირის დახმარების სამი ძირითადი მიმართულება არსებობდა. ეს იყო ჰუმანიტარული, ფინანსური და ტექნიკური. ამ პერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით, ევროკავშირმა საქართველოზე მიახლოებითი მონაცემებით მილიარდ ევროზე მეტი ფინანსური სახსრები დახარჯა. ამ პერიოდის შემდგომ, ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა საგრძნობლად დასტაბილურდა. ევროკავშირი დღემდე აგრძელებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების ორმხრივი და მრავალმხრივი პროექტების დაფინანსებას ევროგაერთიანების ფონდებიდან. ასევე ევროკავშირის მიერ დაარსებული საფინანსო ორგანიზაციებიდან გაცემული კრედიტებისა და გრანტების სახით.

2014 წლის ანალიზიდან გამომდინარე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოების დონით მოლდოვა და საქართველო აშკარად ლიდერობდნენ, ხოლო ბელარუსმა და აზერბაიჯანმა ძალზე დაბალი შედეგი აჩვენეს. უკრაინასა და სომხეთს ერთნაირი მაჩვენებლები ჰქონდათ და მათი შედეგი უფრო ახლოს დგას ამ ჯგუფის ლიდერების შედეგებთან. რაც შეეხება კონკრეტულად დემოკრატიის განვითარების ხარისხს, იგივე სურათი გვაქვს, ოღონდ მოლდოვა და შემდეგ საქართველო მნიშვნელოვნად დაწინაურებულნი იყვნენ, უკრაინისა და სომხეთის ქულები კი ორჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე ბელარუსის და აზერბაიჯანისა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ ამ ოთხმა ქვეყანამ აწარმოა და დაასრულა მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების თაობაზე და, რომ არა რუსეთის ზეწოლა, დღეს სომხეთიც ევროკავშირთან ასოცირებული ქვეყანა იქნებოდა.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი - ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). შეხვედრები აღნიშნული ფორმატის ფარგლებში იმართება ყოველწლიურად.

2010 წლის 17 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა "საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას. ორივე შეთანხმება ძალაში შევიდა 2011 წლის 1 მარტს.

2011 წლის 3 მაისს ქ. ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა". ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საპარლამენტო განზომილებას, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებს შორის წარიმართება მრავალმხრივი საპარლამენტო დიალოგი საერთო ინტერესის სფეროებში, როგორიცაა: მშვიდობა, სტაბილურობა, საკანონმდებლო ჰარმონიზაცია, ვაჭრობა, ენერგეტიკა, ხალხთა ურთიერთობა და სხვა.

2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA), რომელიც „ასოცირების შესახებ შეთანხმების" ნაწილია.

2013 წლის 12-13 თებერვალს თბილისში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" არაფორმალური დიალოგის მეორე შეხვედრა, რომელიც პირველად მოიცავდა სექტორული დიალოგის შეხვედრასაც ტრანსპორტის დარგში. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება" ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის" შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი

შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოვების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

2014 წლის 20 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე. 2014 წლის 26 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა შეიმუშავეს ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით.

2015 წლის 21-22 მაისს, ქ. რიგაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მეოთხე სამიტი. სამიტზე მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია. 2015 წლის 2 ივნისს, ქ. თბილისში საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომა. 2015 წლის 16 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს რიგით მეორე შეხვედრა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი. 2016 წლის პირველ ივლისს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა. ამიერიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ფლობს ბიომეტრიულ პასპორტს, შეუძლია იმოგზაუროს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღე. 2017 წლის 19 ივნისს, ქ. ლუქსემბურგში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგარეო საქმეთა მინისტრთა მერვე შეხვედრა.

2017 წლის 11 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე პირველი შეხვედრა. 2017 წლის 20 ნოემბერს, საქართველომ და ევროკავშირმა ასოცირების განახლებული დღის წესრიგი 2017-2020 წლებისათვის დაამტკიცეს.

2018 წლის 5 თებერვალს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-4 სხდომა. სხდომის ფარგლებში მიღებულ იქნა ერთობლივი პრეს-რელიზი.[8]

- სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი

საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებს ღრმა ისტორიული საფუძველი აქვს. სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოსათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო და სხვა სახის ურთიერთობების გაღრმავებას ევროკავშირთან, მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს საგარეო ინტერესებში შედის მოწინავე ევროპული ფასეულობებისა და გამოცდილების გაზიარება და ევროკავშირთან დაახლოება.

საქართველოსათვის საგარეო ვაჭრობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ის ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას და იძლევა კონკურენტუნარიან დარგებში წარმოების განვითარების საშუალებას. აღნიშნული პროცესი კი იწვევს ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ასევე, მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის როლი საქართველოს ბიუჯეტის ფორმირებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შიდა ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის დაბალანსებაში.

ექსპორტ-იმპორტის ბალანსი საქართველოში უკვე მრავალი წელია რაც უარყოფითია. ეს გარკვეულწილად განპირობებულია ქვეყნის შედარებით დაბალი საექსპორტო პოტენციალით. საქართველო თავისი გამორჩეული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო

[8] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგია, http://www.mfa.gov.ge

მუდამ წარმოადგენდა საერთაშორისო ცენტრს და ტვირთების გადაადგილების მნიშვნელოვან სატრანზიტო არეალს.

ევროკავშირს მსოფლიო ბაზარზე ლიდერი პოზიციები უკავია. მას აქვს მზარდი პოტენციალი და საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე სასურველ სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. ევროკავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შემდგომ, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო კრიზისამდე ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან საქონლის ექსპორტი მზარდი ტემპით ხასიათდებოდა. აღნიშნულ პერიოში საქართველოს ევროკავშირის 28-ვე ქვეყანასთან მზარდი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა.

ცხრილი 1. საქონლით საგარეო ვაჭრობა 2019 [9]



მოცემულ ნახაზზე წარმოდგენილია საგარეო სექტორის არსებული მდგომარეობა ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში.

ცხრილი N 2 საქონლით საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2014 წლიდან დღემდე 10

	საქონლით საგარეო ვაჭრობა სულ				ევროკავშირის ქვეყნები		
	ექსპორტი	**იმპორტი**	**ბალანსი**	**ბრუნვა**	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
2014-12	**57,894.0**	**228,735.5**	**(170,841.5)**	**286,629.5**	57,894.0	228,735.5	286,629.5

[9] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქონლით საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2016-2019
[10] სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2014-2019

2015-12	**46,945.4**	**200,695.0**	**(153,749.6)**	**247,640.3**	46,945.4	200,695.0	247,640.3
2016-12	**57,902.7**	**238,305.3**	**(180,402.6)**	**296,208.0**	57,902.7	238,305.3	296,208.0
2017-12	**66,698.9**	**209,184.8**	**(142,485.9)**	**275,883.8**	66,698.9	209,184.8	275,883.8
2018-12	**71,376.8**	**260,757.7**	**(189,380.9)**	**332,134.5**	71,376.8	260,757.7	332,134.5
2019-1	**59,682.0**	**141,466.7**	**(81,784.7)**	**201,148.7**	59,682.0	141,466.7	201,148.7
2019-2	**58,549.6**	**166,903.3**	**(108,353.7)**	**225,452.9**	58,549.6	166,903.3	225,452.9
2019-3	**77,748.4**	**193,792.5**	**(116,044.1)**	**271,540.9**	77,748.4	193,792.5	271,540.9

- **ბიზნეს-სექტორი**

კერძო სექტორს ისტორიულად წარმმართველი როლი უჭირავს ეკონომიკურ ზრდაში. ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წელს, გასული წელთან შედარებით, 19.5%-ით გაიზარდა. პროდუქციის გამოშვება 10.5%-ით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა გაზრდილია 3.7%-ით (ანუ 24,457-ით), სულ დასაქმებულთა რაოდენობამ 684,517 ადამიანი შეადგინა. 2019 წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა 27.5%-ით არის გაზრდილი, პროდუქციის გამოშვება 9.0%-ით, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 4.2%-ით გაიზარდა და 663,804 ადამიანი შეადგინა.

2019 წლის აპრილში ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 34.2 პროცენტით, ხოლო იმპორტი შემცირებულია 0.6 პროცენტით და სავაჭრო ბალანსიც გაუმჯობესდა. იანვარ-აპრილში ექსპორტის ზრდამ 17.9 პროცენტი შეადგინა, იმპორტის კლებამ კი-3.1 პროცენტი. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რეგიონში ეკონომიკის გაჯანსაღება კარგად აისახა საქართველოს ექსპორტზე.

2018 წელს ექსპორტი გაზრდილია 22.6%-ით, ხოლო იმპორტის ზრდამ 14.9% შეადგინა და შედეგად სავაჭრო ბალანსი 561 მლნ აშშ დოლარით გაუარესდა. რაც შეეხება 2018 წლის მეოთხე კვარტალს, ექსპორტი 15.1 პროცენტით გაიზარდა, იმპორტის ზრდამ კი 4.2 პროცენტი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მეოთხე კვარტალში სავაჭრო ბალანსი 20 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა.

ცხრილი N3 საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2011-2018 წწ[11]



[12]

ექსპორტისა და იმპორტის ცვლილებისას მნიშვნელოვანია რეალური ზრდისა და ფასისმიერი ეფექტის გამოყოფა, რათა ზუსტად გაანალიზდეს რეალური ცვლილება რამდენი იყო. 2018 წლის მეორე ნახევარში გაუმჯობესდა ექსპორტის რეალური ზრდა. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა 2019 წელსაც. 2019 წლის აპრილში ექსპორტის რეალურმა ზრდამ 40.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნომინალურმა ზრდამ მხოლოდ 34.2 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი N4 ექსპორტის ცვლილების დინამიკა წინა წელთან შედარებით[13]

www.geostat.ge

[12] https://www.geostat.ge/ka/single-archive/3325

[13] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba



რაც შეეხება იმპორტს, 2018 წელს მის ნომინალურ ზრდაში მნიშვნელოვანი წილი ფასისმიერ ზრდას უკავია. 2018 წლის ნოემბერ-დეკემბერში შემცირებულია რეალური იმპორტი, 2019 წლის იანვარ-თებერვალში კი რეალურმა ზრდამ გადააჭარბა იმპორტის ნომინალურ ცვლილებას. რაც შეეხება 2019 წლის მარტს, იმპორტის რეალურმა ზრდის კლებამ 7.0 პროცენტი შეადგინა.

2. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის კვლევა ევროკავშირის ბაზარზე

სადავო არაა ის, რომ დღეს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის წარმატებით განხორციელების მთავარი პირობა სწორი კვლევაა.

იმისათვის რომ კომპანიამ ბაზარზე დაიმკვიდროს დიდი ადგილი, საჭიროა საქონლის მყიდველთა მოძიება, რის საშუალებასაც ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება იძლევა. მომხმარებელზე ორიენტაცია, მათი სურვილების, შეხედულებების, საქონლის მიმართ დამოკიდებულების შესწავლის საფუძველზეა შესაძლებელი. გამომდინარე ზემოხსენებულისა, ვფიქრობ, რომ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს სწორი მიზნების მიღწევაზე, რაც ქვეყნის ექსპორტის განვითარების ხელშემწყობი იქნება.

საქართველო და ევროკავშირს შორის სატარიფო ლიბერალიზაცია ბევრ პროდუქტზე მოქმედებს. ჩვენ დიდი ხანია ვსარგებლობთ პრეფერენცირების სისტემით (GSP), რაც ნულოვან საბაჟო ტარიფებს გულისხმობს პროდუქციის ვრცელი ჩამონათვლისას.

რაც შეეხება მინერალური წყლების ექსპორტის მდგომარეობას, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 2014 წელს მინერალური წყლების ექსპორტმა 34 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 19 ათასი აშშ დოლარით მეტია.[14]

ცხრილი N6 ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში

[14] https://www.geostat.ge/ka

	იანვარი-მარტი		იანვარი-მარტი		(%)
	ათასი აშშ ული დოლარი	პროცენტ წილი	ათასი აშშ ული დოლარი	პროცენტ წილი	
ექსპორტი – სულ	**732 090.2**	**100.0**	**826 006.2**	**100 .0**	**12.8**
მათ შორის:					
რუსეთი	98 207.0	13.4	135 361.3	16. 4	37.8
აზერბაიჯანი	76 408.0	10.4	84 904.8	10. 3	11.1
ბულგარეთი	62 940.0	8.6	68 141.0	8.2	8.3
სომხეთი	54 639.4	7.5	63 128.1	7.6	15.5
უკრაინა	31 453.5	4.3	62 330.1	7.5	98.2
თურქეთი	85 402.8	11.7	57 258.1	6.9	-33.0
რუმინეთი	27 215.3	3.7	45 524.0	5.5	67.3
აშშ	35 727.7	4.9	40 459.3	4.9	13.2
ჩინეთი	20 425.5	2.8	35 255.2	4.3	72.6
უზბეკეთი	12 145.2	1.7	20 873.2	2.5	71.9
დანარჩენი ქვეყნები – სულ	227 525.8	31.1	212 771.1	25. 8	-6.5

www.geostat.ge

აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად რუსეთში ქართული მინერალური წყლის ღირებულება, მის ემბარგომდელ ფასთან შედარებით, გაოთხმაგებულია, რაც სპეციალისტების აზრით, რუსულ ბაზარზე ქართულ ღვინისა და მინერალურ წყლებზე დეფიციტის არსებობამ გამოიწვია.

მინერალური წყლები საკვებ პროდუქტთა ჯგუფს ეკუთვნის. სწორედ ამიტომ, აუცილებელია გავმიჯნოთ ამა თუ იმ პროდუქტის ადგილი და როლი ადამიანის კვების რეჟიმში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. გლობალური კონკურენციის პირობებში, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის დიდ როლს ასრულებს წარმოებული მინერალური წყლების ტექნოლოგიური დონე. გამართული, სრულყოფილი ტექნიკა და ტექნოლოგია განაპირობებს მაღალხარისხიან და მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე მინერალური წყლების პროდუქციის წარმოებას.

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესები, მსოფლიო დონეზე მიმდინარე ვაჭრობის მაღალი ტემპები და საერთაშორისო კონკურენციის გამწვავება აიძულებს მინერალური

წყლების წარმოების დარგის წარმომადგენლებს მუდმივად ადევნონ თვალყური ბიზნესის განვითარების სტრატეგიას. უნდა გათვალონ თავიანთი შესაძლებლობები საერთაშორისო ბაზარზე, სადაც მძაფრი კონკურენციაა ადგილის მოპოვების, შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის.

საქართველოს აქვს ძალიან მდიდარი ბუნებრივი რესურსები. მათ შორის უაღრესად დიდი ადგილი უკავია საქართველოში არსებულ მინერალურ წყაროებს, რომელთა არსებობა და სიუხვე გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის სპეციალიზაციას. ხელსაყრელი კლიმატური პირობების საშუალებით, შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში განვითარდეს როგორც თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი ბალნეოლოგიური კურორტები, აგრეთვე, სამკურნალო მინერალური წყლების ჩამოსხმა-წარმოება, რაც ერთობლივად რეალურ საფუძველს ქმნის სამკურნალო- რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისთვის.

საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების კვლევის დროს მნიშვნელოვანია აღინიშნოს მინერალური წყლების წარმოების როლის შეფასებაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ასევე, წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლის გააზრება, კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების განსაღვრა და სხვ.

მინერალური და მტკანი წყლების ბაზარი ხასიათდება მყიდველსა და გამყიდველს შორის კონკრეტული ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრული სისტემით. მოცემული ბაზრის კვლევის დროს მთავარია იმ ფაქტორების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც ხდება მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება. საქართველო უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების წარმოების პოტენციალიდან გამომდინარე ამ დარგის პროდუქტის ნეტო-იმპორტიორიდან ნელ-ნელა ნეტო-ექსპორტიორი ქვეყანა უნდა გახდეს.

ქართული ტრადიციული, ეკოლოგიურად სუფთა, ტექნოლოგიურად დახვეწილი პროდუქციის წარმოება, საბედნიეროდ განვითრების მაღალი ტემპებით ხასიათდება და იმედია ქართულ და მსოფლიო ბაზარზე სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს.

- **მინერალური წყლების ბაზრის კვლევა**

აღნიშნული კვლევის მიზანია გამოავლინოს, თუ რამდენი მომხმარებელი ყავს მინერალური წყლების ბაზარს საქართველოში, თუ რომელ ბრენდს ანიჭებს მომხმარებელი უპირატესობას და რომელია თბილისში პოპულარული მინერალური წყალი. კვლევა ჩატარდა 15-25 მაისის პერიოდში და შესწავლილ იქნა „კარფურის“ ქსელის 4 სავაჭრო ობიექტი. საშუალოდ დაფიქსირდა 50-60 ადამიანის არჩევანი, კერძოდ, რომელი ბრენდის პროდუქცია ჰქონდა შეძენილი.



შედეგები დალაგებულია ბრენდების, თბილისის რაიონების, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ასევე, სოციალური სტატუსის მიხედვით.







კვლევაში გამოიკვეთა ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც იქცევს მომხმარებლის ყურადღებას პროდუქტის შეძენისას. მათ შორის ყველაზე აქტუალურ მახასიათებლად დაფიქსირდა პროდუქციის ხარისხი. შემდეგი კომპონენტი გახლავთ ბრენდი. ადამიანები, როგორც ჩანს, ყურადღებას აქცევენ ამა თუ იმ პროდუქციის ბრენდს და ასევე, ფასს.



[15]

კვლევაში ჩართული იყო 5 ადგილობრივი ბრენდი-ნაბეღლავი, ლიკანი, ბორჯომი, საირმე და ფლატე. კვლევის შედეგების მიხედვით, „კარფურის“ ქსელში პოპულარული მინერალური წყლებია: „ნაბეღლავი“, „ლიკანი“ და „ბორჯომი“. ფლატეს და საირმეს უმნიშვნელო წილი უჭირავს. „ნაბეღლავი“ ლიდერობს. ბორჯომი სავარაუდოდ, მაღალი ფასების გამო, ყოველთვის მესამე პოზიციას იკავებს.

[15] https://docs.google.com/forms/d/129RmlLVPW5SmqEjCtyaB9wNFRTQMy0nqSiwbYkXNI8U/edit



რაც შეეხება ფასდაკლებებს, ცალსახაა, რომ მომხმარებლები აქტიურად ერთვებიან მიმდინარე სააქციო პროცესებში. 71 % აღნიშნავს, რომ სარგებლობს სააქციო ფასებით.



16

[16] https://docs.google.com/forms/d/129RmlLVPW5SmqEjCtyaB9wNFRTQMy0nqSiwbYkXNI8U/edit





[17]

კვლევის პროცესში ჩემი ყურადღება მიიქცია საშუალო თვიური შემოსავლის დიაგრამამ. გამოკითხული მოსახლეობიდან 30% აჩვენა რომ მისი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი არის 1500 ლარი, რაც, ჩემი აზრით, ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ადამიანებმა მუდმივად შეძლონ ორგანიზმისთვის საჭირო ის ძირითადი საქონელი და მომსახურება, როგორიცაა მინერალური წყლები და სხვადასხვა ბალნეოლოგიურ კურორტზე არსებული შესაძლებლობებიც ამ კვლევის შედეგად თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად არ იქნება ხელმისაწვდომი ამ კონკრეტული ადამიანებისთვის.

[17] https://docs.google.com/forms/d/129RmlLVPW5SmqEjCtyaB9wNFRTQMy0nqSiwbYkXNI8U/edit



[18]

საქართველოში მინერალური და მტკნარი წყლების უდიდესი მარაგები, მათი სიიაფე საშუალებას იძლევა მაქსიმალურად გავზარდოთ ექსპორტი და შესაბამისად სავალუტო შემოსავალი.

აუცილებელია მინერალური და სასმელი წყლის რესურსების გამოვლენა, მოპოვება, წყაროების და ჭაბურღილების ექსპლუატაცია უნდა გადავიდეს ერთი უწყების დაქვემდებარებაში, რომელიც პასუხსისმგებელი იქნება წყლის რაციონალურად და შესაბამისი დანიშნულებით გამოყენების, სანიტარულ-ჰიგიენური ზომების დაცვაზე.

საჭიროა საქართველოს წყლების საერთაშორისო აღიარებისათვის ევროპის ურთიერთთანამშრომლობის კავშირის რეკომენდაციების გათვალისწინება და საერთაშორისო ბაზრის მარკეტინგული შესწავლა. უნდა შეიქმნას ერთი კომპეტენტური ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მინერალური და სასმელი წყლის ჩამოსხმას და რეალიზაციას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამოსავალი წერტილია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მოთხოვნის დაფიქსირება და მუშაობის წარმართვა მათი

[18] https://docs.google.com/forms/d/129RmlLVPW5SmqEjCtyaB9wNFRTQMy0nqSiwbYkXNI8U/edit#responses

დაკმაყოფილებისათვის. სისტემურად უნდა ტარდებოდეს მომხმარებელთა ანკეტური გამოკითხვები, შედეგების განზოგადება, მოსახლეობის ტიპოლოგია და ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოცულობის განსაზღვრა. ანკეტური გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის ხარისხი და ოპერატიულობა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბაზარზე ფირმის წარმატებასა და წარუმატებლობას.

საქართველოში არსებული მდგომარეობა და ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნას წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საინოვაციო საქმიანობის პრინციპული გაუმჯობესებით.

2.1. სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა ქართული პროდუქციის კონკურენტული უპირატესობის ზრდაში

თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმები. უნდა დანერგოს საუკეთესო ევროპული პრაქტიკა. „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად, კონკურენციის კანონმდებლობა უნდა დაეყრდნოს კარტელურ გარიგებებს, კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებებსა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს, ასევე, აღსრულების მექანიზმებს.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისათვის.

ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შესაქმნელად ხელი უნდა შეეწყოს სასამართლოს შემდგომ გაძლიერებას კონკურენციასთან დაკავშირებული დავის სამართლიანად გადაწყვეტისა და შესაბამის საკითხებზე მოსამართლეთა ცოდნის გაღრმავების მიზნით.

ექსპორტის პოტენციალის ზრდის და საქართველოში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობა გააღრმავებს თანამშრომლობას არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმის გასავითრებლად.

- **ევროკავშირის სააგენტოები და პროგრამები**

ევროკავშირში 46 სააგენტო ფუნქციონირებს, რომლებიც ნაწილობრივ დამოუკიდებელი და სპეციალიზირებული სტრუქტურებია. სააგენტოების დაფინანსებას და კონტროლს ახორციელებს ევროკავშირი, ევროკავშირის პოლიტიკის მხარდაჭერის მიზნით. გარდა ამისა, არსებობს დაახლოებით 45 პროგრამა, რომელთა უმეტესობა ევროკომისიის მიერ ფინანსდება და იმართება.

პროგრამებსა და სააგენტოებში მონაწილეობა ექსპერტების და ადმინისტრაციული ორგანოების ევროკავშირის შესაბამის უწყებებთან უფრო ღრმა ინტეგრაციის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს რეფორმების გატარებას.

ქვემოთ ჩამოთვლილია სააგენტოები, რომლებიც ყველაზე მეტად რელევანტურია საქართველოსთვის ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების გათვალისწინებით:

- ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო (EASA)
- ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტო (EMSA)
- სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ევროპის სააგენტო (EU-OSHA)
- ევროპის თავდაცვის სააგენტო (EDA)
- ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის ერთეული (EU-ROJUST)
- ევროპის პოლიციის კოლეჯი (Europol)
- ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EMCDDA)
- გარე საზღვრებზე ოპერატიული თანამშრომლობის მართვის ევროპული სააგენტო (FRONTEX)
- ევროპის გარემოს სააგენტო (EEA)

ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებასთან ერთად, მაკროეკონომიკური სესხების და საბიუჯეტო გრანტების სახით.

ევროპის საინვესტიციო ბანკის ინვესტიციებისა და სესხების საერთო მოცულობამ 473 მილიონი ევრო შეადგინა. EBRD საქართველოში კიდევ უფრო დიდი მოცულობის ინვესტიციებს ახორციელებს. მან აქამდე უკვე გამოყო 1.8 მილიარდი ევრო 157 პროექტის დასაფინანსებლად, რომელთა მთლიანი ღირებულება 5.1 მილიარდ ევროს შეადგენს. EBRD-ის მიერ ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ენერგეტიკის და საფინანსო სექტორებზე მოდის.

2.2. ევროკავშირის მიერ საქართველოში დაგეგმილი და განხორციელებული პროექტების ანალიზი

ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელების პროცესში. დღეისათვის საქართველოში 100–ზე მეტი პროექტი ხორციელდება. 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს მიერ ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმით, განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტები 2014–2017 წლებისათვის, ხოლო ამ პერიოდისთვის წინასწარმა ფინანსურმა ასიგნებებმა დაახლოებით 335–410 მილიონი ევრო შეადგინა. ევროკავშირის დახმარება გამოყოფილია: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, კონფლიქტების მოგვარება, ეკონომიკა, ვაჭრობა და სახელმწიფო ფინანსების მართვა; ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება; განათლება, ჯანდაცვა და სოციალური განვითარება, მოცემული მიმართულებებისთვის.

დიაგრამა N7[19]



- **პროექტი –„სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში"**

„სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი და

[19] https://www.geostat.ge/media/19364/sagareo-vachrobis-statistikis-mokle-metodologia.pdf

ნაყოფიერი პროექტია, რომელიც მეტად საინტერესოა, ვინაიდან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და „Human Dynamics“-ის მიერ განხორციელებული პროექტია.

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, ასევე დასრულებული სისხლის სამართლის კოდექსის ახალი რედაქცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, სერიოზული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ცვლილებები პენიტენციურ სისტემაში, ტრენინგების ციკლი, კონფერენციები და სასწავლო ვიზიტები, რომლებიც პროექტის მხარდაჭერით განხორციელდა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქართველოს სამართვებრივ გარემოს.

პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ სამი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. იუსტიციის სამინისტრო ევროკავშირის პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბენეფიციარია. პროექტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, მოსამართლეთა კორპუსის, პროკურატურის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემების, კერძო და საჯარო ადვოკატურის მხარდაჭერას.[20]

- **პროექტი ”მერების შეთანხმება–აღმოსავლეთი (CoM East) ”**

პროექტი წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკული პოლიტიკის ინიციატივის გაცნობას. „მერების შეთანხმება აღმოსავლეთი“ ეხმარება თვითმმართველობებს მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკის განხორციელებაში, წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებაში, ენერგორესურსების მიწოდების უსაფრთხების ამაღლებაში. პროექტი დაიწყო 2016 წელს და გაგრძელდება 2020 წლამდე.

პროექტის ძირითადი საქმიანობები:

[20] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის მინისტრის სიტყვით გამოსვლა ევროკავშირის პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე, http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5075

ეროვნული და ტერიტორიალური კოორდინატორების, მერების შეთანხმების მხარდამჭერებისა და ხელმომწერების უნარ-ჩვევების გაძლიერება ენერგეტიკული და კლიმატური პოლიტიკის საკითხებში;

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში „დახმარების ორგანოს“ ამოქმედება, ხელმომწერი ქალაქებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის მერების შეთანხმების საკითხებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული, საინფორმაციო და ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით;

ფინანსურ ინსტიტუტებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და შესაბამის სამინისტროებთან თანამშრომლობა პროექტის ‘მერების შეთახმება აღმოსავლეთი’ ამოცანების განსახორციელებლად და შესაბამისი სტრატეგიული განვითრების წინაპირობის შესაქმნელად;

ეროვნული და ტერიტორიული კოოდინატორების, მერების შეთანხმების მხარდამჭერებისა და ხელმომწერების ინფორმირება პროექტის ‘მერების შეთანხმება აღმოსავლეთი’ შედეგების შესახებ; ასევე, სხვა დაინტერესებული პირებისთის ინფორმაციის მიწოდება მერების შეთანხების ახალი ამოცანების, მოსალოდნელი შედეგების, მიღწევებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;

ქვეყნის (ეროვნული) სტრატეგიების შემუშავების კოორდინირება და მათი შეხამება ევროკავშირის შესაბამის ინიციატივებთან და პროგრამებთან; ასევე მერების შეთანხმების ინიციატივის ჩართვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნულ სტრატეგიებში.

- **პროექტი - “თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის”**

სახელმწიფო სახსრების მართვის სფეროს კომპლექსური და ტექნიკური ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სწორედ ესაა იმის ერთ-ერთი წინაპირობა, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ბიუჯეტის სახსრების მართვის მონიტორინგი და ადვოკატირება შედეგიანად წარმართონ.

პროექტი მიზნად ისახავს ქვეყანაში ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაზე ანგარიშვალდებულების გაზრდას. პროექტის ამოცანებია: 1) საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ ხელი შეუწყონ სახელმწიფო სახსრების გამჭვირვალობის გაზრდაზე მიმართულ რეფორმებს და 2) სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებს შორის დიალოგის გააქტიურება, რომელიც ბიუჯეტის სახსრების საზოგადოებრივი მონიტორინგის გაუმჯობესებაზე იქნება მიმართული.

პოლიტიკისა და მართვის კონსალთინგ ჯგუფთან თანამშრომლობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის საჯარო პოლიტიკის ფორმირებასა და სახელმწიფო სახსრების მართვის ზედამხედველობის მექანიზმებზე ტრენინგების ჩატარება; ასევე საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის საკითხებზე ქართულენოვანი ბროშურის მომზადება;

ოთხი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გრანტის (15,000 ევრომდე) გაცემა, სახელმწიფო სახსრების მართვის მონიტორინგის კუთხით სხვადასხვა ღონისძიების განსხორციელებლად;

საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის შექმნა, რომლის ფარგლებშიც გაიმართება რეგულარული დისკუსიები ბიუჯეტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

სახელმწიფო სახსრების მართვის ზედამხედველობის არსებული მექანიზმების შეფასება და მათ გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება;

საზოგადოებრივი ფორუმების ჩატარება, რომლებზეც წარმოდგენილი იქნება შეფასების ანგარიში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პლატფორმის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და გრანტის მიმღები ორგანიზაციების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის ინსტრუმენტის (Neighbourhood Civil Society Facility 2013) ფარგლებში. პროექტის

თანადაფინანსებას უზრუნველყოფს შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო.21

- **პროექტი - „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“**

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია. პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოში ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის ხელშეწყობა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინსტიტუციური გაძლიერების გზით.

პროექტის მიმდინარეობას თან ახლდა მნიშვნელოვანი საქმიანობები, რომლებიც შეგვიძლია ჩამოვთვალოთ:

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ტექნიკური დახმარება;

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორების (სპეციალისტების) გადამზადება;

თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგისა და საჩივრების გამოძიებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;

გამოცდილების გაზიარების მიზნით, ევროკავშირის იმ ქვეყნების პრაქტიკის გაცნობა, რომელთაც გააჩნიათ საუკეთესო მიღწევები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების განხორციელებაში;

თემატური ტრენინგები ჟურნალისტებისათვის – ადამიანის უფლებზე და სახალხო დამცველის აპარატის მანდატის შესახებ ;

მოცემული პროექტი დაიწყო 2018 წლის აპრილში და გაგრძელდება 2018 წლის დეკემბრამდე. პროექტს აფინანსებს გაეროს ბავშვთა ფონდი. პროექტის მიზანია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ეფექტურობის შესამოწმებლად -სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასება.

პროექტის საქმიანობები:

[21] ევროპის ფონდი-მიმდინარე პროგრამები, http://www.epfound.ge/ge/programs-ge/programs-activities/tanamonatsileoba-da-monitoringi-cvlilebebisatvis/partnership-for-budget-transparency-ge/

ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო მომსახურების მონიტორინგი-მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამები, მცირე საოჯახო ტიპის სახლები;

შესაბამისი ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის შეფასება და ხარვეზების იდენტიფიცირება;

შიდა და საერთაშორისო შვილად აყვანის პროცესის საქმეების გაცნობა, პროცედურული წესების შესწავლა და შეფასება;

მონიტორინგის შედეგების, საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზისა და მისი პრაქტიკასთან შესაბამისობის გათვალისწინებით ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების ადვოკატირება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.[22]

საქართველოში განსახორციელებელი პროექტებისთვის ევროკავშირი ყოველწლიურად 100 მილიონ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს. პროექტები ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მმართველობა და განათლება, წყალმომარაგება და ენერგეტიკა, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

[22] საქართველოს სახალხო დამცველი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები, მიმდინარე პროექტები, http://www.ombudsman.ge/ge/projects/mimdinare-proeqtebi/bavshvis-uflebebis-centris-shesadzleblobebis-gadzliereba-bavshvze-zrunvis-sistemis-monitoringi-alternatiuli-zrunvis-efeqturoba.page

3.საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები, უმსხვილესი საექსპორტო პოზიციები 2014-2019 წლებში

- **საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წლის იანვარი-აპრილი**

ქართული ექსპორტის ევროპული პერსპექტივა, პირველ რიგში, სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების პრობლემის მოგვარებას უკავშირდება. როგორც სპეციალისტები გვირჩევენ, ყველაზე მოკლე გზა ამ მიმართულებით საქართველოში საერთაშორისო აღიარების მქონე უცხოური სასერტიფიკაციო ცენტრების ფილიალების სრულფასოვანი ფუნქციონირებაა.

2018 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 446.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 10.8 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 132.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (30.5 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 314.0 მლნ. აშშ დოლარი (4.2 პროცენტით მეტი). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26.5 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29.7 პროცენტი და იმპორტში 25.4 პროცენტი (2017 წლის იანვარ-თებერვალში შესაბამისად 27.8, 28.6 და 27.6 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 23.0 პროცენტი.

დიაგრამა N8 ექსპორტის წილი ქვეყნის ჯგუფების მიხედვით 2018 წლის იანვარ-თებერვალში[23]

[23] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba



2018 წლის იანვარ-თებერვალში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 75.0 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 16.8 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 48.9 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 11.0 პროცენტს უდრიდა.

დიაგრამა N9[24]



2019 წლის იანვარ-აპრილში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 3 859.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა

[24] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.3 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 1 133.4 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (17.9 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2 726.2 მლნ. აშშ დოლარს (3.1 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-აპრილში, 1 592.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება. 2014-2019 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

ცხრილი N10 საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2014-2019 წწ. იანვარ-აპრილში



(მლნ. აშშ დოლარი)

www.geostat.ge

ექსპორტი | იმპორტი | საldო

ცხრილი N11[25]

[25] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba



ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს 2017-2019 წლებში ექსპორტ-იმპორტის ყოველთვიურ დინამიკას აბსოლუტურ მაჩვენებლებში, ასევე მათ პროცენტულ ცვლილებას წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

ცხრილიN12 საქართველოს ექსპორტ-იმპორტის წილი 2017 წლის მონაცემები

		ექსპორტი		იმპორტი	
		ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)	ათასი აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2017	იანვარი	176 873.6	44.8	495 089.3	20.2
	თებერვალი	179 869.4	13.6	589 395.5	12.4
	მარტი	221 168.1	36.5	617 466.7	11.8
	აპრილი	211 582.2	27.7	594 283.4	6.7
	მაისი	215 311.5	25.0	637 096.5	4.4
	ივნისი	235 601.9	40.2	644 049.4	0.3
	ივლისი	212 640.9	22.5	642 115.9	7.0
	აგვისტო	236 310.0	25.7	703 617.7	1.7
	სექტემბერი	257 603.2	27.3	688 268.7	6.1
	ოქტომბერი	263 336.1	38.5	731 206.9	10.4
	ნოემბერი	236 877.5	8.2	761 266.9	17.5
	დეკემბერი	288 312.0	50.7	838 804.4	12.6

www.geostat.ge

2019 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 276.2 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 14.3 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 24.4 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 709.7 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (14.7 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 26.0 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 985.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 8.2 პროცენტით ჩამორჩება. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-აპრილში მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში მისი წილი 27.2 პროცენტით განისაზღვრა.

2019 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 576.5 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 34.1 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 50.9 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 773.4 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (11.8 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 28.4 პროცენტია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 1 350.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3.3 პროცენტით მეტია. რაც შეეხება სავაჭრო დეფიციტს, 2019 წლის იანვარ-აპრილში, მისი წილი მთლიან უარყოფით სავაჭრო ბალანსში 12.4 პროცენტი იყო.

ცხრილი N13 ქვეყნის ჯგუფების წილი იმპორტ-ექსპორტში



www.geostat.ge

2019 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 74.1 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რუსეთი (177.5 მლნ. აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (126.3 მლნ. აშშ დოლარი) და ბულგარეთი (109.0 მლნ. აშშ დოლარი).

ცხრილი N14



www.geostat.ge



www.geostat.ge

2019 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 66.5 პროცენტი შეადგინა.

ცხრილიN15[26]

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2019 წლის იანვარ-აპრილის იმპორტის მიხედვით

	2018* წლის იანვარი-აპრილი		2019* წლის იანვარი-აპრილი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
იმპორტი – სულ	2 813 109.6	100.0	2 726 240.2	100.0	-3.1
მათ შორის:					
თურქეთი	444 646.3	15.8	446 959.3	16.4	0.5
ჩინეთი	229 251.2	8.1	273 476.7	10.0	19.3
რუსეთი	292 205.1	10.4	269 080.6	9.9	-7.9
აზერბაიჯანი	229 764.2	8.2	235 802.2	8.6	2.6
გერმანია	134 222.3	4.8	137 591.4	5.0	2.5
აშშ	101 786.1	3.6	120 827.1	4.4	18.7
უკრაინა	150 045.9	5.3	109 406.8	4.0	-27.1
სომხეთი	102 927.3	3.7	90 312.8	3.3	-12.3
იტალია	73 534.7	2.6	69 194.7	2.5	-5.9
რუმინეთი	58 732.7	2.1	60 063.4	2.2	2.3
დანარჩენი ქვეყნები – სულ	995 993.8	35.4	913 525.3	33.5	-8.3

[26] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

ცხრილიN16 ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2018-2019 წწ.



2019 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (525.1 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (446.6 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (362.1 მლნ. აშშ დოლარი).

2019 წლის იანვარ-აპრილში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 195.3 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 17.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები, 149.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 13.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები, 117.3 მლნ. აშშ დოლარით (10.3 პროცენტი).

საქართველოს მთავრობამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან დამაკავშირებელი სარკინიგზო, საჰაერო და საავტომობილო კავშირების განსავითარებლად და ამ მიზნით გადადგას ქმედითი ნაბიჯები სამეზობლო საინვესტიციო ინსტრუმენტის (ENF) შესაძლებლობების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისათვის.

3.1 ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს სტატისტისის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია საგარეო ვაჭრობაში საქართველოს ექსპორტის ანალიზი და დეტალურადაა განხილული გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა 2014-2019 წლებში, გამოვლენილია ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები და საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის ძირითადი პარტნიორი ქვეყნები. 2019 წლის იანვარ-აპრილის მონაცემების ჩათვლით შეგვიძლია გავეცნოთ სავაჭრო ბალანსის ანალიზის ცხრილს:

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდის დინამიკა 2014-2019 წლები (მლნ დოლარი)

ცხრილი N17 საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2014-2019 წწ.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები

წელი და თვე		ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
		ათასი აშშ დოლარი			
		1	2	3	4
2014	...	2 861 045	8 601 814	11 462 860	-5 740 769
2015	...	2 204 685	7 300 293	9 504 978	-5 095 608
2016	...	2 112 913	7 293 806	9 406 718	-5 180 893
2017	...	2 735 486	7 942 661	10 678 148	-5 207 175
2018*	...	3 354 498	9 123 105	12 477 603	-5 768 606
2018*	I	222 640	594 543	817 182	-371 903
	II	223 647	638 928	862 575	-415 281
	III	285 803	844 741	1 130 545	-558 938
	IV	229 143	734 898	964 042	-505 755
	V	322 905	810 847	1 133 752	-487 942
	VI	307 811	779 279	1 087 090	-471 468
	VII	278 313	796 832	1 075 145	-518 518
	VIII	275 366	772 788	1 048 154	-497 422
	IX	301 139	720 222	1 021 362	-419 083
	X	302 961	866 157	1 169 118	-563 195
	XI	276 187	742 956	1 019 143	-466 769
	XII	328 582	820 914	1 149 497	-492 332
2019*	I	238 768	593 222	831 989	-354 454
	II	266 261	648 101	914 362	-381 840
	III	320 977	754 370	1 075 347	-433 393

მართალია, რომ ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, რაზეც საქართველოს საგარეო

ვაჭრობის მიმოხილვა მოწმობს. თუმცა, ვფიქრობ, ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორთფელის მკვეთრი გაფართოება, რათა გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა.

გლობალიზაციის პროცესმა მოიტანა ის, რომ ქვეყნების განვითარების დონე ჯაჭვურ კავშირშია ერთმანეთთან. ვაჭრობა გახდა სულ უფრო მეტად კონკურენტული და მეტად გართულდა რაიმე ისეთის შეთავაზება ბაზრისათვის, რაც მომხმარებლის ლოიალობას მოიპოვებს. საქართველო საერთაშორისო ვაჭრობაში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ცდილობს ჩართვას, თუმცა საბჭოურმა გამოცდილებამ და დანგრეულმა ეკონომიკამ მძიმე გარდატეხის პერიოდი გაიარა, რაც დრემდე პრობლემურია ზოგიერთ სფეროში.

როგორც მითითებული მონაცემებიდან ჩანს ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა მზარდია, რაც ძალზედ პოზიტიურად შეგვიძლია შევაფასოთ, გამომდინარე იქედან, რომ ევროკავშირის ბაზარი მოითხოვს მაღალი სტანდარტის საქონელს, ეს ფაქტი მეწარმეებს უბიძგებს მათ მიერ შექმნილი პროდუქცია აკმაყოფილებდეს ამ მაღალ სტანდარტებს. რაც პირდაპირ კავშირშია მაღალტექნოლოგიური წარმოების პროცესთან.

მართალია ემბარგოს მოხსნის შემდეგ დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა კვლავ გაიზარდა თუმცა ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტს უარყოფითი დინამიკა არ გამოუვლენია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სავაჭრო კავშირის სტრატეგიულ მნიშვნელობას საქართველოს ბიზნესისა და ეკონომიკისთვის.

ცხრილი N19

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები 2019 წლის იანვარ-მარტის ექსპორტის მიხედვით (გაგრძელება)

წელი და თვე		სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	მინერალური და მტკნარი წყლები	სპირტი და სპირტიანი სასმელები[1)]	სიგარები, სიგარილები და სიგარეტები	ოქრო დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული, ან ფხვნილის სახით	დანარჩენი საქონელი
		ათასი აშშ დოლარი					
		7	8	9	10	11	12
2014	...	137 622	137 124	95 307	1 624	39 334	1 125 946
2015	...	109 777	82 228	64 892	7 150	62 102	996 198
2016	...	65 649	79 825	91 911	10 392	81 083	914 809
2017	...	76 447	95 776	126 662	42 329	70 771	1 048 052
2018*	...	92 034	110 167	129 075	149 014	69 810	1 195 299
2018*	I	11 195	6 309	7 650	4 183	8 197	85 354
	II	12 146	7 433	8 001	5 763	6 206	78 102
	III	6 101	10 177	11 796	10 776	5 613	108 246
	IV	5 142	9 386	10 537	9 400	6 738	93 700
	V	7 569	11 655	13 322	12 922	6 834	121 070
	VI	10 828	9 150	10 678	10 728	6 408	99 703
	VII	5 972	8 541	10 769	12 444	5 494	105 252
	VIII	3 251	8 673	12 949	15 848	5 699	95 522
	IX	10 261	8 261	10 241	18 396	4 912	89 167
	X	6 042	10 042	12 926	16 829	4 913	99 590
	XI	7 227	10 606	10 416	16 306	4 606	99 474
	XII	6 299	9 935	9 789	15 418	4 191	120 118
2019*	I	8 924	7 847	6 569	15 762	6 293	78 035
	II	14 823	10 005	11 847	1 841	4 688	90 809
	III	11 685	11 945	7 550	2 707	5 581	97 512

[27]

მოცემლ ცხრილში გაანალიზებულია თითოეული სასაქონლო ჯგუფი წლების მონაცემებით ექსპორტის ჭრილში. მოცემული ნაშრომისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტის დინამიკის გააანალიზება, ვინაიდან აღნიშნულ საკითხებს მოიცავს ნაშრომის უმეტესი ნაწილი.

ცალსახაა, რომ 2014 წლის მონაცემებით საქართველოდან საექსპორტოდ გატანილი მინერალური წყლების საერთო მონაცემები იყო 137 124, ხოლო 2019 წლის პირველი სამი თვის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 29 797. აღნიშნული ციფრებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ექსპორტის დინამიკის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალია.

[27] მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდიდან www.geostat.ge

თუკი 2019 წლის მონაცემებს შევადარებთ 2018 წლის პირველი სამი თვის მონაცემებს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ იანვრის თვეებში 2019 წელს მინერალური წყლების ექსპორტის წილი 1.2-ჯერ გაიზარდა.

საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპებისა და მაღალი აქტივობის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია სწორედ მესამე კატეგორია 2008 წლის შემდგომი პერიოდი. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეკრულების ხელმოწერამ კიდევ უფრო გაზარდა ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები და მიუხედავად იმისა რომ 2009 წელი ჩავარდნით შეიძლება დახასიათდეს (რუსეთ-საქართველოს აგვისტოს საომარი მოქმედებების შედეგად) ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალი და პოზიტიურია. ბოლო პერიოდში საქართველო სულ უფრო მეტად ერთვება ინტეგრაციის პროცესში და მისი მიმზიდველობა მსოფლიო ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობებში ძალზედ იზრდება. ასევე მზარდია მაჩვენებელი უცხოურ ბაზრებზე ქართული პროდუქციის შეღწევადობისა.

ევროკავშირ-საქართველოს შორის ორმხრივი ვაჭრობის ტენდენცია დინამიურად მზარდია რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოსათვის ევროკავშირი საიმედო და სტაბილური პარტნიორია.

2014 წლის შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ექსპერტების აზრით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ მეწარმეთათვის. თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერ მოვლენას, ამასაც ჰყავს თავისი სკეპტიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ: 1) GSP+ სავაჭრო შეთანხმება ქართველ ექსპორტიორებს ისედაც აძლევდა საშუალებას 7000-ზე მეტი პროდუქცია შეეტანათ ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო ტარიფებისა და კვოტების არქონის პირობებში; 2) მცირეა იმ მეწარმეთა რაოდენობა, რომელთაც მოახერხეს ზემოაღნიშნული შეღავათიანი პირობებით სარგებლობა.

დასკვნისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირ-საქართველოს შორის გაფორმებული DCFTA-ს დამსახურებაა ის დიდი წინსვლა, რაც უამრავი დამატებითი სარგებლის მომტანია და მომავალში უფრო მეტს პირდება ქართულ ეკონომიკას.

3.2 სავაჭრო ბარიერები და ევროკავშირის ბაზარზე პოზიციონირების პერსპექტივები

- **ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში**

ექსპორტის განვითარების და საერთაშორისო და ევროპულ ბაზრებზე ინტეგრაციისა და საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, საქართველოს მთავრობამ უნდა იზრუნოს ვაჭრობაში ჯერ კიდევ არსებული ტექნიკური ბარიერების შემცირებაზე, რაც საქართველოს კანონმდებლობას ევროპულ ნორმებთან დააახლოებს. ეს გამოიწვევს ხარისხის ეროვნული ინსტიტუტების ინტეგრაციას საერთაშორისო და ევროპულ სისტემებში. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მიერ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება, მათ შორის, მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნული სისტემების ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანა.

საქართველოს მთავრობამ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს რეგიონის ქვეყნებთან და არსებულ სავაჭრო პარტნიორებთან ქართველი მეწარმეების მეზობელი ქვეყნების ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად. ამ მიზნით, შეიქმნა ექსპორტიორთა ინტერესების დაცვის ცენტრი, რომელიც მოიძიებს ინფორმაციას საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტზე ორიენტირებული ქართველი მეწარმეების პრობლემების შესახებ.

- **აგრარული პროდუქტის ექსპორტის ხელშეწყობა**

საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტის სექტორის მოდერნიზაციას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. აგრარული პროდუქტის ექსპორტის პოტენციალის ზრდის მიზნით, საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისად, უნდა განვითარდეს სურსათის უვნებლობის, ბეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სისტემები „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების

შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში აღებული ვალდებულებების ეტაპობრივი შესრულების გზით.

საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქტის საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მიზნით, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მეწარმეთა ინფორმირებულობის ზრდა შეთანხმების ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ევროპულ ბაზრებზე არსებული მოთხოვნების და ექსპორტის შესაბამისი პროცედურების შესახებ.

- **ექსპორტის განვითრება**

საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მათი საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით, ხელი უნდა შეეწყოს ექსპორტის განვითარების დამხმარე სისტემების შექმნას, რაც უზრუნველყოფს საქართველოს საექსპორტო პროდუქტისა და საექსპორტო ბაზრების შესახებ მეწარმეების ინფორმირებულობას. ამ სფეროში განსაკუთრებული როლი ეკისრება სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, რომელიც საექსპორტო პოტენციალის გაძლიერების მიმართულებით იმუშავებს. სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო მეწარმეებს გააცნობს პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს, ამ ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრებს კი მიაწვდის ინფორმაციას საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების შესახებ.

- **ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები**

ექსპორტის გაფართოება და დივერსიფიცირება კერძო სექტორის პრეროგატივაა. კომპანიების მიერ საექსპორტო ბაზრების და მათ მიმართ არსებული მოთხოვნების შეფასებასა და გამოვლენაში საქართველოს მთავრობას შეუძლია იყოს ქმედითი პარტნიორი. მას შეუძლია არსებულ და პოტენციურ სავაჭრო პარტნიორებთან საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება, საერთაშორისო ბაზრებზე ქართველი ექსპორტიორების ინტერესების დაცვა, ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად,

საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირება, ასევე, ექსპორტიორებისათვის საექსპორტო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

2004-2019 წლებში საქართველოს ექსპორტი დაახლოებით 4.5-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ასეთი მასშტაბური ზრდისა, ექსპორტის დივერსიფიკაცია დაბალია, როგორც საექსპორტო ქვეყნების, ასევე, საექსპორტო პროდუქტის მიხედვით. ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა პროდუქტმა ახალ ბაზრებზე დაიმკვიდრა ადგილი. მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოდან მომსახურების ექსპორტი. 2010-2015 წლებში საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტს შეადგენდა: ავტომობილები (ძირითადად რეექსპორტი), ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, მინერალური წყლები, სასუქები და ზოგიერთი აგრარული პროდუქტი.

ექსპორტის პოტენციალის ზრდის და ევროპულ ბაზარზე ინტეგრაციისთვის, აუცილებელია, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. ეს ხელს შეუწყობს ქართული საექსპორტო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებას, ასევე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვისობრივად ახალ საფეხურზე გადასვლას. ამასთან, მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ინფორმირებულობის ამაღლება შეთანხმებით გათვალისწინებულ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

აუცილებელია საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მაქსიმალური და ეფექტიანი გამოყენება და რეგიონული ბაზრების ათვისება, სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობაში ხელოვნური ბარიერების შემცირება.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ბიზნესსა და ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მხოლოდ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობაშიც.

ანალიზის საფუძველზე ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელ კრიტიკულ პრობლემათა შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასათანადოდ განვითარებული ადამიანური კაპიტალი და ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას სამართლიანი და დაცული ბიზნესგარემო. მისი ამოცანაა, აგრეთვე, ბიზნესის განვითარების სტიმულირება ინოვაციების და სამეწარმეო უნარების განვითარების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობით, რაც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს. კეთილდღეობის მისაღწევად სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებისთვის საბაზისო სოციალური დაცვის სისტემის შექმნისა და შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში აღწერილია ის პრიორიტეტები და პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროა გრძელვადიანი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად.

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, კონკურენციის ეფექტური პოლიტიკა, რომელიც კომპანიების მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და მთავრობის მიერ კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარების (სუბსიდიის) გაცემაზე კონტროლს ახორციელებს, უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ასეთი პოლიტიკა თანასწორ გარემოს უქმნის ეკონომიკურ ოპერატორებს და ხელს უწყობს დაბალი ფასების, უკეთესი ხარისხის პროდუქტის და მომხმარებლისთვის უფრო ფართო არჩევანის არსებობას, და ამავდროულად ამცირებს კორუფციის შესაძლებლობებს.

DCFTA-ის კონკურენციის საკითხებისადმი მიძღვნილი თავი მცირე მოცულობისაა, განსაკუთრებით უკრაინასა და მოლდოვასთან გაფორმებული DCFTA-ის იმავე თავებთან შედარებით. იგი მხოლოდ რამდენიმე ზოგად დებულებას მოიცავს და არ ავალდებულებს საქართველოს, თავისი კონკურენციის რეგულირების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს ევროკავშირის კონკურენციის წესებსა და სისტემასთან.

2005-2012 წლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არეგულირებდა კონკურენციის დარღვევას ძირითადად მთავრობის მიერ სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებით. კანონმდებლობის შემდგომი ცვლილებები 2014 წელს განხორციელდა, რომლებიც შემდეგ სფეროებს მოიცავდა: ანტიკონკურენციული დებულებები, რომლებიც ეხება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ევროკავშირის კანონმდებ- ლობის შესაბამისად; სახელმწიფო დახმარება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო დახმარების გაწევის პროცედურებს; ინსტიტუციონალური დებულებები, რომლებიც ეხება ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, საგამოძიებო და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებებს.[28]

DCFTA მოიცავს ვაჭრობის დაცვით ზომებს, რომელთა გატარების უფლება გააჩნიათ ევროკავშირს და საქართველოს მეორე მხარის იმპორტის მიმართ, თუ იმპორტი აზიანებს და დაზიანების საფრთხეს უქმნის ადგილობრივ წარმოებას. კერძოდ, მხარეებს უფლება აქვთ, მიმართონ ანტიდემპინგურ, სუბსიდიების საწინააღმდეგო და დაცვით ზომებს. DCFTA-ის დებულებები ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ძირითადად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) შესაბამის წესებს მოიცავს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ამისათვის ანტიდემპინგური ღონისძიებებია. თუ კომპანია პროდუქციის ექსპორტს უფრო დაბალ ფასად ახორციელებს, ვიდრე თავისი ქვეყნის შიდა ბაზარზე ყიდის, ითვლება, რომ იგი დემპინგს ახორციელებს. შესაბამისად, მთავრობები უფლებამოსილნი არიან, დემპინგის საწინააღმდეგო ზომებს მიმართონ იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილობრივ წარმოებას „არსებითი“ ზიანი ადგება. ამ დროს იმპორტიორ ქვეყანას უფლება აქვს შემოიღოს ანტიდემპინგური გადასახადი, ადგილობრივი წარმოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

დაცვითი ზომები პრაქტიკულად არასდროს ყოფილა გამოყენებული ევროკავ-შირ-საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობებში. უფრო მეტიც, საქართველოს არ გააჩნია ანტიდემპინგურ, საკომპენსაციო, ან დაცვით ზომებთან დაკავშირებული

[28] მაიკლ ემერსონი და თამარ კოვძირიძის ერთობლივი ნამუშევარი. წიგნი ტრილოგიის ნაწილია, რომელიც ეძღვნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას DCFTA). გვ9

კანონმდებლობა, რადგანაც ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო და ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში მიჩნეულია, რომ უფრო დაბალი ფასები მომხმარებლის ინტერესებში შედის და ქვეყანა არ ისახავს მიზნად თავისი სავაჭრო პარტნიორების „დასჯას“ იაფი იმპორტის გამო.

3.3 საქართველოში წარმოებული საექსპორტო პროდუქტები მინერალური და მტკნარი წყლების მაგალითზე

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სუვერენულ სახელმწიფოს, გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, აქვს შანსი იმისა, რომ აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ამით იგი შეძლებს მცირედი წვლილის შეტანას სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობების მიმდინარე პროცესების განვითარებაში.

ეკონომიკური პოლიტიკის აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სფეროების მხარდაჭერაზე, რომლებშიც საქართველოს საერთაშორისო მასშტაბით აქვს კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, მინერალური და მტკნარი წყლების წარმოების გაზრდა იმ დონემდე, რაც შესაძლებელს გახდის ამ კატეგორიის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტის ექსპორტის მაღალ დონეს.

მინერალური წყლები საქართველოში მრავალი წელია შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისა და პროდუქციის წარმოების ყველა სტანდარტის დაცვის გზით, შესაძლებელია, რომ ეს სფერო კიდევ და კიდევ უფრო განვითარდეს.

მტკნარი წყლების მოფრთხილება და ზოგადად, ამ საკითხთან დაკავშირებული პროცესები, ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. ამ სფეროს განვითარებისათვის გარდა ექსპორტზე ორიენტირებისა, მნიშვნელოვანია ადგილობრივ მოთხოვნაზე აქცენტის გაკეთებაც. ანუ მისი კომერციული მიზნით წარმოება.

მტკნარი წყლები არის დედამიწის ზედაპირზე გავრცელებული ბუნებრივი რესურსები, რომლებიც გამოსაყენებლად ვარგისიანია. მტკნარ წყალს შეიცავს მყინვარული საფარი, მყინვარი, ჭაობი, ტბა, მდინარე და სხვა გეოგრაფიული ობიექტი.[29]

[29] https://ka.wikipedia.org/ მტკნარი წყალი.

მტკნარი სასმელი წყალი ჩვენი ათასწლეულის ყველაზე ძვირი და დეფიციტური ნედლეული იქნება. გაეროს მონაცემებით,[30] დღეს დაახლოებით 2.8 მილიარდი ადამიანი მოკლებულია კარგი ხარისხის სასმელ წყალს. ევროპაც ასევე წააწყდა ამ ურთულეს პრობლემას, რომელიც განპირობებულია სასმელი წყლის მარაგების თანმიმდევრული გამოფიტვით. 2025 წლისათვის სასმელი წყლის დეფიციტი მოიცავს მთელ ევროპას, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე იქნება სამხრეთ ევროპასა და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის აუზში.[31] არსებული მდგომარეობა არის რამდენიმე გარემოებით გამოწვეული, მათ შორის ის რომ მოსახლეობაში ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ გაზრდილია წყალზე მოთხოვნილება, ასევე მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებები, რამაც განაპირობა ატმოსფერული ნალექების კატასტროფული შემცირება და სასმელი წყლის დეფიციტი.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ და ევროკავშირმა შეიმუშავეს სასმელი წყლის სტანდარტები.[32] რომლის მიხედვითაც თუ არ დაკმაყოფილდება თითოეული კომპონენტი, მოსახლეობა დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება.

მინერალური წყლები-მიწისქვეშა ან ზედაპირული წყლები, რომლებსაც, მინერალურ ნივთიერებათა შემცველობის გამო სამკურნალო თვისებები აქვს.[33]

მინერალური წყლები არის მიწისქვეშა წყლები, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ მინერალებსა და კომპონენტებს. მისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები ორგანიზმზე დიდ ზეგავლენას ახდენს, რის გამოც სამკურნალო საშუალებად იყენებენ.

---

[30] The Millennium development goals report. United Nations, New York, Published by the United Nations Department of Economic and Social Affairs, 56 p

[31] Prof. Lalzad. An overview of global water problems and solutions. London, May 2007, 36 p

[32] EU's drinking water standards. Water Treatment Solutions. Lenntech. http://www.lenntech.com/applications/drinking/standards/eu-s-drinking-water-standards.htm.

[33] https://ka.wikipedia.org/ მინერალური წყლები

მინერალური და მტკნარი წყლების ბაზრის მიმოხილვა[34]

საქართველში 730-ზე მეტი სახეიობის მინერალური წყალი მოიპოვება, რომლებიც ბალნეოლოგიური მიზნით და სამრეწველო ჩამოსხმისთვის გამოიყენება. თერმული და მინერალური წყლების უნიკალური თვისებები ძველი დროიდან არის ცნობილი- ადგილობრივები მას სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ იყენებდნენ.

მრავალი თერმული და მინერალური წყაროს ბაზაზე საკურორტო ზონებია გახსნილი. აღსანიშნავია, რომ სანატორიული მკურნალობა საქართველოში, სადაც რბილი კლიმატია, სუფთა ჰაერი, თერმული წყაროები და სამკურნალო ტალახი-ევროპის კურორტებზე ძვირადღირებული დასვენების შესანიშნავი ალტერნატივაა.

- **მინერალური და სამკურნალო წყლების ზოგადი დახასიათება, პროდუქციის ასორტიმენტი**

„ბორჯომი“

„ბორჯომის“ სამკურნალო თვისებები ჯერ კიდევ ეპოსშია აღწერილი. ცნობები სათავეს 1500 წელზე მეტს ითვლის. ის არის საშუალო მინერალიზაციის, სუფრის ნატრიუმის ჰიდროკარბონატული, სამკურნალო მინერალური წყალი. მინერალური წყალს მაღალი შეფასება მისცა რუსეთის იმპერატორმაც, რომლის ბრძანებით 1892-1895 წლებში აიგო ლიკანში მავრიტანული სტილის ვილა- რომანოვების სასახლე. ეს უნიკალური ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტი ზღვის დონიდან 900 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

„ნაბეღლავი“

„ნაბეღლავის“ უნიკალური მინერალური წყაროები თავისი სამკურნალო თვისებებით „ბორჯომს“ არაფრით ჩამოუვარდება. ის არის ნახშირორჟანგით გამდიდრებული, ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-კალციუმიანი სუფრის წყალი. მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიან 475 მეტრის სიმაღლეზე.

[34] https://sputnik-georgia.com/tips/20170324/235303292/qartuli-minerluri-wylebi.html

სპეციალისტთა მტკიცებით, „ნაბეღლავის“ რეგულარული მოხმარება წმენდ ორგანიზმს მავნე ნივთიერებებისგან და მას საჭირო მინერალებით ამდიდრებს. წყლის მაგნიუმის იონის მაღალი შემცველობა დადებით გავლენას ახდენს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე. ქლორის დაბალი შემცველობა წყლის სამკურნალო ეფექტს საგრძნობლად ზრდის, ხოლო სულფატების დიდი რაოდენობა უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა დაავადების მკურნალობის დროს.

„საირმე“

საირმის წყლების შესახებ ინფორმაცია პირველად XIX საუკუნის 90-იან წლებში გვხვდება. 1930-იან წლებში საირმეს კურორტის სტატუსი ოფიციალურად მიენიჭა. სამკურნალო ფაქტორია „ნარზანის“ ტიპის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული კალციუმ-ნატრიუმიანი და „ბორჯომის“ ტიპის ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი მინერალური წყალი.

„ლიკანი“

უნიკალური ბუნებრივი სუფრის სამკურნალო წყალი, გაჯერებული ქიმიური ელემენტებით, ზომიერად შეიცავს მინერალურ-იონურ კომპლექსს. მისი თავისებურებაა- ჰიდროკარბონატების, მაგნიუმის და კალციუმის განუმეორებელი თანაფარდობა. ლიკანი არის უხვვად გაჯერებული ბუნებრივი გაზით და იდეალურად კლავს წყურვილს. ნახშირორჟანგის დახმარებით, მინერალური წყალი 1500 მეტრის სიღრმიდან ამოდის და მას განუმეორებელი და მსუბუქი გემო აქვს.

„მიტარბი“

მიტარბის საბადო ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მიტარნის მახლობლად, მდინარე მიტარბულას ხეობაში მდებარეობს. მის ჩამოსხმას ბორჯომის N1 ახორციელებს. ის გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ: როგორიცაა ქრონიკული გასტრიტი, ქრონიკული კოლიტი, ნივთიერებათა ცვლის დააადებების დროს და სხვ.

„ბაკურიანი“

„ბაკურიანი“- ბუნებრივი დაბალმინერალიზებული წყალია, რომელიც გაჯერებულია ოპტიმალური რაოდენობის მინერალური კომპლექსებით. სპეციალისტთა აზრით, ახალგაზრდობის და სილამაზის შესანარჩუნებლად საუკეთესო წყალია, რადგან ორგანიზმის წყლის ბალანსს არეგულირებს. ამ წყლის ხშირი მოხმარება ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობას ააქტიურებს. ის ხასიათდება კალციუმის, ნატრიუმისა და მაგნიუმის მინერალური კონცენტრაციით, ასევე უმნიშვნელო რაოდენობით ფტორსა და იოდის იონებს შეიცავს.

„ბახმარო“

დაბალმინერალიზებული სასმელი წყალია, რომლის ქიმიურ შემადგენლობაში ჭარბობს ორგანიზმისთვის სასარგებლო ჰიდროკარბონატი და კალციუმი. ის ბუნებრივი ჟანგბადით არის გამდიდრებული და მას განუმეორებელი რბილი გემო ახასიათებს. [35]

შოვი

შოვის მინერალურ წყაროებში, რომელიც საქართველოს მაღალმთიან ბალნეოლოგიურ კურორტად ითვლება, რამდენიმე სახეობის სამკურნალო წყალია. „დარასუნი“- დაბალმინერალიზებული ჰიდროკარბონატულუ კალციუმიანი წყალია. მას რბილი და სასიამოვნო გემო აქვს და ყოველდღიური მოხმარებისთვის არის გამოსადეგი. „ბორჯომი-უწერას“ წყალი ჰიდროკარბონატულ ნატრიუმიან წყლებს განეკუთვნება და მას ყველაზე მაღალი მინერალიზაცია ახასიათებს. შოვის მინერალური წყლებით სასუნთქი გზების, ნერვული სისტემის და მომნელებელი სისტემის დაავადებებს კურნავენ.[36]

აბასთუმნის სამკურნალო წყლები

აბასთუმნის სამკურნალო წყლების ისტორია უძველესი დროიდან იწყება. ამავე წყაროს მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელი აბანავებდა მასში თავის მხედრებს და

[35] გამოყენებული ინფორმაცია მოპოვებულია ინტერნეტში არსებული ღია წყაროებიდან.
[36] https://sputnik-georgia.com/tips/20170324/235303292/qartuli-minerluri-wylebi.html

კურნავდა მათ მძიმე ჭრილობებისგან. აბასთუმანში არსებობს 3 წყარო: „გოლიათის“, „გველისა“ და „საყმაწვილო“. ჩატარებული ანალიზის შედეგად ამ წყაროებს მარილ-გოგირდ-ტუტოვან წყლებად თვლიდნენ.[37]

მინერალური წყლების ბაზარი დღეისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და მზარდი მოთხოვნილებების ბაზარია მსოფლიოში. მისი განვითარებისთვის მეტად საჭიროა ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა, საგადასახადო შეღავათების დაწესება, ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, სარეკლამო ბიზნესის განხორციელება. უცხოური პროდუქტების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და გამოყენება.

მაღალი საექსპორტო პოტენციალისა და სტაბილური ზრდის რეალური პერსპექტივის გამო, საქართველოს მინერალური და სასმელი წყლების ინდუსტრია ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი უნდა გახდეს.

ქართული მინერალური წყლების პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე მყარად დასამკვიდრებლად, საჭიროა შემუშავებული იქნას განვითარების სწორი სტრატეგია და ტაქტიკა თითოეული მწარმოებლის დონეზე.

საქართველოს წყლის რესურსების 30% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელი წყალია. ასეთი შესაძლებლობებით ჩვენს ქვეყანას შეუძლია მსოფლიო დააკმაყოფილოს წყლით. გამომდინარე იქიდან რომ დღესდღეობით ევროპა ამ დიდი პრობლემის- წყლის დეფიციტის წინაშე დგას, სწორედაც რომ ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი შესთავაზოს და დააკმაყოფილოს თუნდაც გარკვეული ნაწილი ევროპისა.

მაღალი საექსპორტო პოტენციალისა და სტაბილური ზრდის რეალური პერსპექტივის გამო, საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლების ინდუსტრია ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგი უნდა გახდეს. მისი განვითარების

[37] http://samkurnalocklebi.blogspot.com/

უზრუნველყოფის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ადეკვატური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა შექმნას ხელსაყრელი ბიზნეს გარემო.

დღესდღეობით მინერალური წყლების ბაზარი ერთ-ერთი უმთავრესი და მზარდი მოთხოვნილების ბაზარია. მისი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების მაქსიმალური ხელშეწყობა, გრძელვადიანი საკრედიტო სისტემების ამოქმედება, საგადასახადო შეღავათების დაწესება და სხვ.

მინერალური წყლის კლასტერის მოდელი მოცემულია შემდეგ ნახაზზე:



38

ჩვენი ქვეყნის მთავარ ამოცანად უნდა გადაიქცეს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის რადიკალური ამაღლება საინოვაციო საქმიანობის პრინციპული გაუმჯობესებით, არსებული პოტენციალის გონივრულად გამოყენებითა და შესაბამისი კლასტერების შექმნით. შერჩეული პრიორიტეტების რეალიზაციისთვის გამოყენებული უნდა იქნას მსოფლიო გამოცდილება. მაგალითად, ექსპორტზე ორიენტირებული სამრეწველო კლასტერების ჩამოყალიბება. მათი სტიმულირება და ხელშეწყობა.

[38] მოცემული ნახაზი მოპოვებულია google.com ბრაუზერის საშუალებით.

დღეს მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომელსაც საქართველოს მსგავსი შესაძლებლობები აქვს, რომელსაც გააჩნია ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა მინერალური და სასმელი წყალი. ჩვენს ქვეყანას ასევე აქვს ხილ-კენკროვანი ნედლეულის წარმოების მაღალი პოტენციური შესაძლებლობა.

3.4. საექსპორტო პოტენციალის კვლევის საფუძველზე საექსპორტო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობები

იმისათვის რომ გაიზარდოს საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და წარმატებით განხორციელდეს ქართული პროდუქციის რეალიზაცია, ამისათვის თითოეულმა მწარმოებელმა უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედებები, რათა მიიღოს სასურველი შედეგი.

იმისათვის რომ გავიდნენ ევროკავშირის ბაზარზე, მოიძიონ პარტნიორები და დააკმაყოფილონ შესაბამისი სტანდარტები, ამისათვის, პირველ რიგში, უნდა ისარგებლონ "tradewithgeorgia" -ს საიტით, რომლის დახმარებითაც მეწერმეებს შესაძლებლობა აქვთ, რომ უცხოელ მეწარმეებს პირდაპირ დაუკავშირდნენ.

„een-georgia"- ეს არის ევროპის მეწარმეთა ქსელი, რომელიც 600-ზე მეტი ორგანიზაციის დახმარებით 67 ქვეყანაში ოპერირებს. მოცემულ ქსელში ჩართულ კომპანიებს შესაძლებლობა აქვთ, რომ გაავრცელონ და მიიღონ ბიზნესწინადადებები და საპარტნიორო შეთავაზებები. გარდა ამისა, სავაჭრო-სამრეწველო პალატას აქვს პროგრამა „მოიძიე პარტნიორნი", რომელიც აძლებს მეწარმეებს შესაძლებლობას, რომ ევროპაში პროდუქცია გაიტანონ.[39]

იმისათვის, რომ ქართველმა მეწარმემ ევროპაში პროდუქცია შეიტანოს, ამისათვის ის უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს და სტანდარტებს. სურსათის უვნებლობის მოთხოვნა დიდ როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობის პროცესებში. დაბალი რისკის (ხილი და ბოსტნეული) სურსათი შედარებით მარტივად შედის ევროკავშირის ბაზარზე, ვიდრე მაღალი რისკის (ხორცი და რძის პროდუქტები). პროდუქციის შემადგენლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს; თითოეულ მეწარმეს ანუ ექსპორტის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინფორმაცია პროდუქტის წარმოების სრულ ჯაჭვზე. მას უნდა ჰქონდეს ჩატარებული შესაბამისი შიდა ლაბორატორიული კვლევები. აღნიშნულთაგან უმნიშვნელოვანესია ევროკავშირში

[39] http://netgazeti.ge/news/258512/attachment/logo111-e1503928917245-2/

კონტროლის მექანიზმის სისტემის არსებობა (ინსპექტირება, ზედამხედველობა. მონიტორინგი და ა.შ).

კერძო საწარმოებს უფლება აქვთ ინდივიდუალურად მოიპოვონ ევროკავშირში მაღალი რისკის სურსათის შეტანის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საწარმო მოიპოვებს ჯანმრთელობის შესახებ ევროკავშირის მოთხოვნებს, საწარმო აწყობილი იქნება ევროკავშირის მოთხოვნების თანახმად. ასეთ სიტუაციებში სურსათის ეროვნული სააგენტო შეიმუშავებს ასეთი საწარმოების სიას და ევროკავშირს წარუდგენს გარანტიას, რომ ეს კომპანიები აკმაყოფილებს ევროკავშირში არსებულ უვნებლობისა და ჯანმრთელობის მოთხოვნებს.

DCFTA გულისხმობს როგორც სატარიფო, ისე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს. მაგალითად, სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვ.

- **10 ქართული პროდუქტი, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა**[40]

ალკოჰოლური სასმელები: ღვინო, ჭაჭა, კონიაკი.

მინერალური მტკნარი წყლები: ქართული მინერალური წლები დღეს მსოფლიოს 40 ქვეყანაში იყიდება, თუმცა ყველაზე დიდი მოთხოვნით მაინც დსთ-ს სივრცეში სარგებლობს.

თხილი: ქართული თხილი დღეს იყიდება იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში, ყაზახეთსა და სხვა ქვეყნებში.

[40] https://www.allnews.ge/sazogadoeba/149835-10.html

ჩაი: 2014 წელს საქართველოდან ჩაის ექსპორტმა 8.5 მილიონი დოლარი შეადგინა და ყველაზე დიდი რაოდენობით ჩაი გავიდა მონღოლეთში, თურქეთში, გერმანიასა და რუსეთში.

ყველი: ქართული ყველი საერთაშორისო ბაზრებზე შედარებით ახალი პროდუქტია. პირველად საერთაშორისო აღიარება კი საფერავში დაძველებულმა და ფრანგულ-ქართული ტექნოლოგიით დამზადებულმა "ტიბაანურმა" მოიპოვა.

მწვანილი: ქართული მწვანილი ყველაზე დიდი რაოდენობით იყიდება ბელორუსში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ლიტვაში.

დაფნა: საქართველოდან დაფნა მსოფლიოს 12 ქვეყანაში გადის, მათ შორის პოლონეთში, ბულგარეთში, ვიეტნამსა და ფილიპინებში.

ხილისა და ბოსტნეულის ნატურალური წვენები: ეს პროდუქცია საქართველოდან მსოფლიოს 18 ქვეყანაში გადის, მათ შორის გერმანიაში და აშშ-ში.

ფარმაცევტული პროდუქცია: ნატურალური ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატები.

მატყლი: ქართული მატყლის პირველი, საცდელი პარტია დიდი ბრიტანეთის ბაზარზე რამდენიმე თვის წინ გავიდა, მანამდე კი საქართველოში წარმოებული მატყლი იყიდებოდა თურქეთში, უკრანაში და რუსეთში.

დღესდღეობით საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანაა ჩართული, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს კმაყოფილი და მხოლოდ თავისი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს საკუთრი წარმოება და მოსახლეობა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო პროდუქტებისა და მომსახურების იმპორტირება, ხოლო საიმპორტო ხარჯების დაფარვის ძირთადი წყაროა ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

ჩემი აზრით, აუცილებელია წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის გამოცდილების გათვალისწინება. იმიტომ, რომ საქართველოს როლი გლობალურ სივრცეში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით კიდევ უფრო გაიზარდა. არსებული სიძნელეების დასაძლევად საჭიროა სწორი გზების

გამონახვა. ბოლო პერიოდში საქართველოში მწვავედ დგას რიგი პრობლემები. ქვეყნის მძიმე სოციალური ფენის შექმნის წინაპირობაა: ინფლაცია, ფასების ზრდა, ლარის კურსის ვარდნა და ა.შ. ამ და სხვა პრობლემების მოგვარების გზების ძიებისას, პირველ რიგში, უნდა გაანალიზდეს თუ რა ახდენს ზეგავლენას დოლარის კურსის მოცულობაზე. დოლარზე ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის ბალანსი. რაც უფრო მატულობს ექსპორტის წილი, მით უფრო მეტი ვალუტა შემოდის საქართველოში. ხოლო იმპორტის დროს ქვეყანაში ნაკლები ვალუტა რჩება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სხვაობა ანუ სავაჭრო დეფიციტი საგრძნობლად გაიზარდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახა ლარის კურსზე და სამწუხაროდ, ეს უარყოფითი პროცესი ბოლო პერიოდშიც აქტიურად მიმდინარეობს.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზების ძიება დღეისათვის საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. საექსპორტო პროდუქციის წარმოება დაკავშირებულია სერიოზულ ინვესტიციებთან. შიდა ბაზარზე მომუშვე კომპანიებისგან განსხვავებით ექსპორტიორს გაცილებით ხშირდა უწევს ფონდების განახლება, ტექნოლოგიის შეცვლა. წარმოების არსებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონე განაპირობებს საექსპორტო პროდუქციის წარმოების მიზანშეწონილობას. უმეტესად, ტექნიკური ოპერაციების შესრულება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ძირითადი აქცენტი გადატანილია მუშახელის სიიაფეზე, რაც ფარდობითი უპირატესობის მიღწევას ართულებს.

წარმოების მოცულობის ზრდა ხელს უწყობს, ასევე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდას. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იყოს გაანალიზებული თუ რატომ მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება. თუ რამ გამოიწვია მისი კონკურენტუნარიანობის მკვეთრი დაცემა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო ესწრაფვის ევროკავშირისკენ. ამდენად, ევროკავშირი ყალიბდება როგორც ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზარი. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო საიმპორტო ბაზარი უდიდესია მსოფლიოში, რომელზეც მოდის აღნიშნული პროდუქციის მსოფლიო იმპორტის 50%-ზე მეტი. ამ ბაზარზე საკმაოდ მაღალია ზრდის ტემპი. ვფიქრობ, საჭიროა ძალიან კაგად იქნეს გათვლილი ყველა ის საბაზრო ნიშა და ის სასაქონლო ჯგუფები, რომლებიც ავლენენ ყველაზე მაღალ მიმზიდველობას.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული მანძილებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საქართველომ გეზი უნდა აიღოს გადამუშავებულ აგროპროდუქციაზე, რომელსაც აქვს შენახვის ხანგრძლივი ვადა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველო იმყოფება ევროკავშირიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის პროდუქცია, რომლის მოსავლის აღების პერიოდიც უფრო ადრეა, ვიდრე ევროკავშირში ამავე პროდუქციის მოსავლის აღება.

დასკვნა

ნაშრომში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთთანამშრომლობის პროცესისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი საკითხებია განხილული, შესაბამისი ანალიზით. განხილულია ევროინტეგრაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები, მიზეზები და ევოლუციური განვითარების დინამიკა. აგრეთვე, ევროინტეგრაციული პროცესები საქართველოში, სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციის გზები ევროკავშირის ბაზარზე.

ღრმა ანალიზისათვის მასალები მოვიპოვე სხვადასხვა ლიტერატურიდან, ვებ-გვერდებიდან და სხვა წყაროებიდან, რომლებიც მითითებულია ლიტერატურაში.

ევროპული ინტეგრაციის წარმატებული განხორციელება პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების განწყობებსა და დამოკიდებულებებს. შესაბამისად, საზოგადოების განწყობების მართვას და ეფექტურ საინფორმაციო პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხები არ არის მხოლოდ საქართველოსთვის აქტუალური და ენათესავება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნილ ვითარებას. ის მომავალში შეიძლება მასშტაბიანი საერთაშორისო კვლევის კომპონენტად იქცეს.

საქართველო ვალდებულია დაიცვას ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პრინციპები და მეთოდები. საქართველოსა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზების ურთიერთდაახლოების პროცესში, მეწარმეებთან და ექსპორტიორებთან კონსულტაციის გზით, უნდა განისაზღვროს ეკონომიკისა და ბიზნესის პრიორიტეტული სექტორები. აუცილებელია, რომ დაინერგოს სამრეწველო პროდუქციის შესაბამისობის განსაზღვრის ევროპული მოდელები, რაც უზრუნველყოფს დაბალი რისკის მქონე საქონლის სავალდებულო სერთიფიცირებისა და განმეორებით ტესტირებების თავიდან აცილებას.

ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის პოზიციის დამკვიდრება პირდაპირ კავშირშია მათ მიმართ წაყენებული სანიტარული და ფიტო-სანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

ევროკავშირის არასატარიფო ბარიერების დაძლევის სიძნელე განპირობებულია იმითაც, რომ ისინი დამტკიცებულია ევროკავშირის შესაბამისი ინსტიტუტებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობით, რომელიც სისტემატურად იცვლება და საჭიროებს ხანგრძლივ მონიტორინგს.

საქართველოს განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი აქვს. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ამ ეტაპზე აქვს.

საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. ამ ტემპის მიღწევა შესაძლებელი გახდა ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმებით. ამასთან, ეს რეფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა მწარმოებლურობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძველის შესაქმნელად.

არსებული სირთულეები აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებად ეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს.

მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ანგარიშში (Doing Business 2014) საქართველო პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით, თუმცა, ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, როდესაც საკუთრების უფლება არ არის სათანადოდ დაცული და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის სწრაფად გადაწყვეტის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

უმთავრესად, უნდა აღმოიფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის მწარმოებლურობის და შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდას.

საბოლოოდ, ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა სწორი გააზრება და პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას. შემდგომში ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას, რაც კიდევ უფრო გააფართოვებს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

ევროკავშირის გაფართოების პროცესი გაძლიერებული რეგიონული თანამშრომლობის ფონზე მიმდინარეობს, რაც გრძელვადიანი სტაბილურობისა და განვითარების მიზანს ემსახურება.

ქვეყანას უნდა გააჩნდეს ფუნქციური ინტეგრაციის შესაძლებლობა. გაწევრიანებას წინ უძღვის ფუნქციური ინტეგრაციის ელემენტების განვითარება და ქვეყნის დაახლოება ევროკავშირთან, ვაჭრობის გაღრმავება, ადამიანების კონტაქტები, ეკონომიკური თანამშრომლობა, დარგობრივი თანამშრომლობა, განათლების სისტემის დაახლოება, სამეცნიერო თანამშრომლობა, ენერგეტიკული ქსელების დაკავშირება, დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ. ეს იგულისხმება არა მარტო ევროკავშირთან მიმართებაში, არამედ რეგიონში, მეზობელ ქვეყნებთანაც, მით უმეტეს მათთან, ვინც ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის.

საქართველოს ექსპორტის ანალიზი ქვეყნების მსხვილი ჯგუფებისა და სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით მიანიშნებს, რომ ადგილი აქვს ექსპორტის თანდათანობით ევოლუციურ ზრდას. მართალია, ცალკეული ქვეყნებისა თუ სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საკმაოდ ხშირად ფიქსირდება ნახტომისებური ცვლილებები, მათი ზეგავლენა ზოგად ტენდენციებზე, ფაქტობრივად, მარგინალურია. თანდათანობით იკვეთება სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის იმ პროდუქციის ექსპორტირების მიმართულებით, რომელთა წარმოებაში საქართველოს ტრადიციულად კარგი პოზიციები გააჩნია. ამ მხრივ, უცნაური სულაც არ არის მინერალური წყლების, ალკოჰოლისა თუ თხილის ექსპორტის ზრდა, მიუხედავად პერიოდული საკმაოდ სერიოზული რყევებისა.

საქართველოს ექსპორტის გეოგრაფიაზე, განსაკუთრებით კი ექსპორტის ზრდაზე განსაკურებით მწვავედ აისახება მსოფლიო ბაზრებზე დაფიქსირებული სავალუტო,

მაკროეკონომიკური, თუ სხვა ტიპის შოკები. ქვეყანათა დიდი ჯგუფების, მათ შორის ევროკავშირში ექსპორტის ზრდის ანალიზისას აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს ორი მნიშვნელოვანი გარემოება. პირველი, საქართველო აქამდე არასოდეს წარმოადგენდა მკვეთრად საექსპორტო ორიენტაციის ეკონომიკას, ისე, როგორც ეს აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების შემთხვევაშია. აქედან გამომდინარე, მართალია ექსპორტის მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში ძალიან არსებითია, მასზე მეტისმეტად დიდი აქცენტირება გამართლებული არ არის.

საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალური ხასიათი, ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის გააქტიურებას. საქართველო ისწრაფვის გააფართოვოს კავშირები მსოფლიოს ქვეყნებთან. მათთან ორმხრივი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მაქსიმალურად ლიბერალური პირობების შენარჩუნებას, ხელისშემშლელი სავაჭრო ბარიერების მოხსნას, რათა ამ ქვეყნების უზარმაზარი ბაზარი და სანედლეულო რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალისთვის. სავაჭრო ბარიერების სისტემა არ უნდა იყოს იმდენად სუსტი, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერ შეძლოს ეროვნული წარმოების დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ. საერთაშორისო ბიზნესი (ლექციების კურსი). თსუ, თბ., 2011 გამ. „უნივერსალი'', თბ., 2011. 382 გვ.
2. გოცაძე, ე., მედულაშვილი, თ., „NATO და ევროკავშირი – საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები" – 2015 წ. საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.
3. გაბრიჩიძე, გ., ევროკავშირის სამართალი, თბილისი, 2012.
4. ღია საზოგადოება „საქართველო", გზა ევროკავშირისკენ. ადვოკატირების გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოებისათვის: ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ადვოკატირება. 2013 წელი.
5. აკობია, ე., „ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა".
6. კაპანაძე, ს., „ევროკავშირის პოლიტიკა", თბილისი, 2006, მე-9 თავი.
7. „ევროპის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა", გვ. 67, ვებგვერდი.
8. ძებისაური ლ., "საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა".
9. ეკონომიკის პოლიტიკის კვლევის ცენტრი,. „საქართველოს ექსპორტის დინამიკის ცალკეული ასპექტები საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ფონზე.
10. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი., კვლევითი პუბლიკაცია „ექსპორტისა და იმპორტის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები"
11. ბიძინაშვილი თ,. „საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების გლობალიზაციის პირობებში".
12. ღაღანიძე გ,. „საქართველოს საექსპორტო პოტენციალის მენეჯმენტის აქტუალური საკითხები".
13. თოფჩიშვილი მ,. „უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ბიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოში".
14. კოვზირიძე თ,. „საქართველო და ევროკავშირი".
15. შენგელია თ,. საერთაშორისო ბიზნესი"; უნივერსალი 2011
16. https://docs.google.com/forms/d/129RmlLVPW5SmqEjCtyaB9wNFRTQMy0nqSiwbYkXNI8U/edit#responses
17. infocenter.gov.ge, http://infocenter.gov.ge/euinfo-expansion-eu/#1
18. http://www.mfa.gov.ge

19. www.geostat.ge სტატისტიკის ეროვნული სამსახური
20. https://www.geostat.ge/ka/single-archive/3325
21. http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5075 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, იუსტიციის მინისტრის სიტყვით გამოსვლა ევროკავშირის პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე.
22. http://www.epfound.ge/ge/programs-ge/programs-activities/tanamonatsileoba-da-monitoringi-cvlilebebisatvis/partnership-for-budget-transparency-ge/ ევროპის ფონდი-მიმდინარე პროგრამები.
23. http://www.ombudsman.ge/ge/projects/ganxorcielebuli-proeqtebi/evrokavshiris-mier-dafinansebuli-proeqti.page საქართველოს სახალხო დამცველი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები.
24. http://www.ombudsman.ge/ge/projects/mimdinare-proeqtebi/bavshvis-uflebebis-centris-shesadzleblobebis-gadzliereba-bavshvze-zrunvis-sistemis-monitoringi-alternatiuli-zrunvis-efeqturoba.page საქართველოს სახალხო დამცველი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები, მიმდინარე პროექტები.
25. http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo მონაცემები აღებულია საქარტველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებ- გვერდიდან.
26. მაიკლ ემერსონი და თამარ კოვძირიძის ერთობლივი ნამუშევარი წიგნი ტრილოგიის ნაწილია, რომელიც ეძღვნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ შეთანხმებას (DCFTA). გვ9
27. https://ka.wikipedia.org/ მინერალური წყლები
28. https://sputnik-georgia.com/tips/20170324/235303292/qartuli-minerluri-wylebi.html
29. http://samkurnalocklebi.blogspot.com/
30. http://netgazeti.ge/news/258512/attachment/logo111-e1503928917245-2/
31. https://www.allnews.ge/sazogadoeba/149835-10.html
32. https://news.ge/eqsporti-ianvar-tebervalsi-wina-weltan-sedarebit-255-it-gaizarda/
33. http://ec.europa.eu/eurostat
34. https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/detailed-country-information/croatia_en European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations, EC, Membership Status of Croatia. Last uptadet in 2016.
35. https://www.cnbc.com/2017/04/20/how-turkey-might-have-ruined-its-relationship-with-the-eu.html How Turkey might have ruined its relationship with the EU. CNBC. 2017
36. https://eeas.europa.eu/node/7587_ka

37. http://ec.europa.eu/environment/enlarg/candidates.htm EU Commission, Enlargment-candidate and potential candidates. Last updated April, 2017.
38. http://www.europarl.europa.eu/elections2014-results/en/election-results-2014.html
39. European Integration, Regional Policy and Growth/ Ed by Bernard Funck and Lodovico Pizatti- Washington World bank, 2003 p 1-5
40. Angelika Scheuer (2005), How Europeans See Europe: Structure and Dynamics of European Legitimacy Beliefs. Amsterdam University Press
41. Meunier, S. & McNamara, K. R. (2007). The State of the European Union: Making History. Oxford: Oxford University Press.
42. McCormick, J. (2017). Understanding the European Union: A Concise Introduction. 7th edition. Basingstoke: Palgrave Macmillan.
43. Dedman, M. (2009). The Origins and Development of the European Union 1945-2008: A History of European Integration. London: Routledge.
44. Kaiser, W. & Varsori, A. (2010). European Union History: Themes and Debates. Basingstoke: Malgrave Macmillan.